

საერთო გაზეთი

№41 (733)
ოთხშაბათი
20 დეკემბერი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.



საქართველოს ვერ გააქრობ!



**გადაქართველეთ
ევროპა, გილოცავთ!**



„საერთო გაზეთი“ გილოცავთ ახალ 2024 წელს!

ჩვენი მთავარი მიღწევა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიში

ირაკლი ღარიბაშვილი: „მე კიდევ ერთხელ მადლობა მინდა ვუთხრა ევროკომისიის პრეზიდენტს და მთლიანად ევროპელ ლიდერებს, ბატონ შარლ მიხელს, ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენს, მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვარპის, მე მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ სალივანს.

მე მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრა ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს, პარტნიორებს, თითოეული თქვენგანის როლი არის ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან მნიშვნელოვანი იყო თითოეული თქვენი ხმა და თქვენი მხარდაჭერა“, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

„მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო, მივესალმები ჩვენს საზოგადოებას, ჩემს კოლეგებს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარტიის თავმჯდომარეს, თბილისის მერს, მთავრობის წევრებს, პარლამენტის წევრებს, სასამართლოების ხელმძღვანელებს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს. პატივცემულ ელჩებს, ძვირფასო მეგობრებო, ჩემთვის დიდი პატივის, წარმოგიდგინოთ ამ წლის საქმიანობის ანგარიში. მე შევეცადები თავიდან, ერთგვარი შესავალის სახით ჩვენი ანალიზი გაგიზიაროთ. ასევე გაგიზიაროთ ჩემი შეფასებები იმ ძირითად მოვლენებთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში და, ზოგადად, რეგიონში. ასევე, ჩემს ანგარიშში შევხვები იმ მიღწევებს, რომელსაც ჩვენ, მთელი გუნდმა, მთავრობამ და პარლამენტმა ერთად, მთელმა ხელისუფლებამ, ყველამ ერთად მივაღწიეთ. ასევე მინდა, შევეხო გეოპოლიტიკურ ვითარებას, რეგიონში არსებულ მდგომარეობას.

2012 წელს ჩაყარა საფუძველი ჩვენი ქვეყნის რეალურ ევროპეიზაციას, დემოკრატიზაციას. ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცების გზას დაადაგა ჩვენი ხელისუფლება, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ გადაიბარეს ჩვენი ქვეყნის მართვის სადავეები. მე ადრევე მივხვდი ძალიან ბევრჯერ, რომ თუ ვინმემ, რომელიმე ხელისუფალმა მიადწია ძალიან კონკრეტულ შედეგს, ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, ეს არის სწორედ „ქართული ოცნება“. დაწყებული ჯერ კიდევ ასოცირების შეთანხმების გაფორმებით, თავისუფალი ვაჭრობა, უვიზო რეჟიმი, შემდეგ კონსტიტუციაშიც კი აისახა ჩვენი გაცხადებული საგარეო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი და დაგვირგვინდა ჯერ შარშან, ევროპული პერსპექტივის აღიარებით და უკვე წელს ერთგვარი დამაგვირგვინებელი შედეგი იყო კანდიდატის სტატუსის მოპოვება.

არც ერთი ფაქტი დღემდე არ დაფიქსირებულა სანქციების გვერდის ავლის თუ თავიდან არიდების, ან არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა ჩვენი ქვეყნის გამოყენების სანქციების ასარიდებლად. ჩვენ მაქსიმალურად ღიად და გამჭვირვალედ ვიმუშავეთ, ვიმუშავეთ და ასე გაავარძელეთ მომავალშიც.

- ბიუჯეტი 2012 წელს იყო დაახლოებით 8 მილიარდ 500 მილიონამდე, გაისად იქნება 28 მილიარდ 700 მილიონი - აქაც თითქმის გავასამშავეთ ბიუჯეტი ბოლო 11 წელიწადში, 20 მილიარდით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის მთლიანი ნაერთი ბიუჯეტი.

2012 წელს დღე-ზედმეტობის სახით ბიზ-

ნეს დაუბრუნდა 140 მლნ ლარი, წელს უკვე დაუბრუნდა 2 მილიარდ 200 მილიონი ლარი და მომდევნო წელს დაბრუნებული თანხა იქნება 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი.

ბოლო 11 წელიწადში საშუალოდ წლიურად დასრულდა 2,1 მლნ. კვ.მ ფართობის მშენებლობები, რაც 2,5-ჯერ აღემატება 2006-2012 წლებში ექსპლუატაციაში შესული შენობების საერთო ფართობის საშუალო მოცულობას.

2012 წელს, დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იყო დაახლოებით 750 ლარი, 1850 ლარამდე არის გაზრდილი, ანუ 2,5-ჯერ გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ბოლო 11 წელში.

„წარმოე საქართველოში“ პროგრამის ამოქმედების დღიდან, სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 12,000-მდე პროექტი, შეიქმნა 70,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი და გაიცა 400 მლნ ლარზე მეტი დაფინანსება.

თუ შევხედავთ ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნების ბოლო მაკროეკონომ-

(1,4 მილიარდი დოლარი) გასულ წელს ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 2,5-ჯერ გაიზარდა. ჩვენ შარშან გვექონდა 3,5 მილიარდი დოლარი პირდაპირი შემოსავალი ტურიზმიდან.

პროფესიული განათლება ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, ვინაიდან პროფესიული განათლება პირდაპირ უკავშირდება სამუშაო ადგილების შექმნას და, ზოგადად, დასაქმების საკითხს. აქაც, ჩვენ 9-ჯერ გაზარდეთ პროფესიული განათლების დაფინანსება.

- 2012 წლამდე გაზიარებული იყო მოსახლეობის დაახლოებით 55%, დაახლოებით 700 000 აბონენტი, ამჟამად ქვეყანაში ბუნებრივი გაზის 1 500 000 აბონენტი - აქაც 2-ჯერ მეტი ზრდა გვაქვს ბოლო 11 წელიწადში.

- ორი წლის წინ ჩვენ დავიწყეთ თითოეული მუნიციპალიტეტის ცენტრების განახლება, 63 მუნიციპალიტეტში დასრულდა პროგრამის პირველი ეტაპის სამუშაოები.

- 2012 წელს განათლებისა და მეცნიერე-

კუთვნილება, დანარჩენი იქნება ინვესტირების ვალდებულება, რომ შესაბამისი ინვესტიციები მოიხილოს. ეს პროექტი იქნება ერთ-ერთი სამაგალითო მთელს შავი ზღვის აკვატორიაში.

- ჩვენ 2012 წელს დაგვხვდა გასხვისებული „ხულონქისის“ პროექტი. ჩვენ მოვანდინეთ ამ პროექტის გამოყენება, გახდა სახელმწიფოსი და სახელმწიფოს აქვს განზრახული, რომ თავად დაიწყოს მშენებლობა ამ დიდი ეროვნული მნიშვნელობის ჰესის.

ახლა ვმუშაობთ დიდი სიმძლავრის ოთხი ჰიდროელექტროსადგურის განვითარებაზე, მათ შორის იქნება „ხულონქისის“ პროექტი, ოღონდ ეს იქნება შეცვლილი სახით ისე, რომ აღარ დაიბნობება არც ტაძარი, არც სოფელი და ასე ვთქვათ, მინიმალური ეფექტი ექნება ამას გარემოზე და, ზოგადად, რეგიონზე. პირიქით, მე ვფიქრობ, ეს იქნება ერთ-ერთი სანიმუშო პროექტი, „ენგურქისის“ პროექტის შემდეგ, ეს იქნება მნიშვნელოვანი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკის დარგისთვის.

ეს არის კონკრეტული შედეგი ენერგეტიკის დარგშიც, რა თქმა უნდა, შედეგად ელექტროენერჯის გენერაცია, ექსპორტი და ტრანზიტი გვაქვს რეკორდული.

წელს უკვე გენერაციამ 11 თვის მონაცემებით შეადგინა 13 მლრდ კვტ.სთ. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს არის გამოუმუშავების ისტორიული მაქსიმუმი.

რეკორდულია ასევე ექსპორტიც და ტრანზიტიც ჩვენი ქვეყნის გამოყენებით. შემოსავლებმა შეადგინა ათეულობით მილიონი ლარი, რომელიც მიემართება ბიუჯეტში და, რა თქმა უნდა, ეს არის 4.5-ჯერ ზრდა, თუ ამას შევადარებთ 2012 წელს.

ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი მონაპოვარი, ბუნებრივია, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებაა, ეს არის დიდი გამარჯვება, მათ შორის ჩვენი დიპლომატიური კორპუსის, მე მინდა ჩვენს საგარეო უწყებას, პირადად მინისტრს, ჩვენს დიპლომატებს მადლობა გადავუხადო.

- შოვში ლანჩხუთისა და ჩოხატაურში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 მილიონ ლარი, ჯამში 30 მილიონი ლარი დაიხარჯება იმისთვის, რომ არც ერთი დაზარალებული ოჯახი არ დარჩეს სახლების გარეშე.

კონკრეტული შედეგები მოჰყვა სამშვიდობო ინციატივას, როცა ჩვენს აზერბაიჯანულ და სომეხ კოლეგებთან ერთად მივაღწიეთ შეთანხმებას და საქართველომ მნიშვნელოვანი მედიაცია გასწია, დაინტერესებული ვართ, რომ რეგიონში დამყარდეს გრძელვადიანი მშვიდობა და სტაბილურობა.

ისტორიული მნიშვნელობის იყო ჩემი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც გავემგზავრე ჩინეთის პრეზიდენტის მიწვევით და ჩვენ შევთანხმდით და გავაფორმეთ ერთობლივი დეკლარაცია, შედეგად, სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ღონეზე აწიონ ურთიერთობა.

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვასა და რეაბილიტაციაზე ბოლო 10 წელში გამოყოფილია 100 მილიონ ლარამდე, 800-მდე ძეგლის რეაბილიტაცია განხორციელდა ბატონი ბიძინა ივანიშვილისა და „ქართუ“ ფონდის მიერ და ეს პროცესი, რა თქმა უნდა, გაგრძელდება“.



მიკურ პარამეტრებს, ვნახავთ, რომ საქართველოს არამართო მათ საშუალო მაჩვენებელზე უკეთესი პოზიცია აქვს, არამედ მთელი რიგი მიმართულებებით მოწინავე პოზიციაზეა უკვე დღეს.

2012 წელს ფართოზოლოვანი ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა 400 000 მდე იყო დაახლოებით, შარშან უკვე 160%-ით იყო გაზრდილი და მილიონს გადააჭარბა აბონენტების რაოდენობამ.

2012 წელს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროების ბიუჯეტი ერთობლივად 100 მლნ ლარს შეადგენდა. წელს 600 მილიონზე მეტია და 2024 წელს იქნება 688 მლნ ლარი - თითქმის 7-ჯერ გაიზარდა სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი.

2012 წელს საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობდა 28 ავიაკომპანია, წელს - 50 ავიაკომპანია შემოსული საქართველოში, რომლებიც 67 მიმართულებით ასორციელებენ ფრენებს.

2012 წელთან შედარებით გაზრდილია ღვინის ექსპორტი 187 მლნ აშშ დოლარით - 290%-ით ბოლო 11 წელიწადში. 2012 წელს 40 ღვინის საწარმო და მარანი იყო ქვეყანაში, დღეს - 2500-ს აღწევს ღვინის საწარმოების და მარნების რაოდენობა.

ტურიზმის მიმართულებით, ჩვენი პოლიტიკის შედეგად, 2012 წელთან შედარებით

ბის სისტემის ბიუჯეტი იყო 626 მილიონი ლარი, წელს 2 მილიარდ ლარს გადააჭარბა ბიუჯეტმა და 2024 წელს იქნება რეკორდული, 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი.

- 2012 წლამდე 16 ახალი სკოლა იყო აშენებული, მანამდე რამდენიმე ასეული სკოლა გარემონტდა „ქართუ“ ფონდისა და ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით, წინა ხელისუფლებას არც ერთი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით და ჩვენს დროს აშენებული და რეაბილიტირებულია 450 სკოლა.

- გაიზარდა დაცული ტერიტორიების ფართობი ბოლო 10 წლის განმავლობაში. 100 დაცული ტერიტორიის საერთო ფართობი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 13%-ია.

- მსუბუქი ავტომობილებისთვის 1 იანვრიდან, ხოლო ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისთვის 2025 წლიდან, ქვეყანაში ვეღარ დარეგისტრირდება ევრო-5 სტანდარტზე უარესი ხარისხის, 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილი.

2012 წელს მასწავლებლის საშუალო ხელფასი იყო 330 ლარი და დღეს არის 1230 ლარი, უკვე გაზრდილია 270%-ით, 2024 წლიდან მასწავლებლის ხელფასი გახდება 1700-1800 ლარი და ზევით.

- 2024 წელს დაიწება ანაკლიის პორტის მშენებლობა, 51% იქნება სახელმწიფოს

წრებით მოვლენებს, ვქმნით ისტერიას და სერი-
ოზულად ვნერვიულობთ ისეთ თემებზე, რაც
ჯერ პორიზონტზეც არ გამოჩენილა.

თუ ბრიუსელი მოითხოვს მათ კანონმდებ-
ლობასთან კონკრეტულ პარამონიზაციას, ჩვენი
გადასწევებია, აქედან რომელ კანონს მივი-
ღებთ და რომელი კანონი ეწინააღმდეგება
საქართველოს საბაზისო ღირებულებებს თუ
ფასეულობებს. არავინ არავის არაფერს დააძ-
ალებს. ვერავის აძალებენ ისეთი კანონების
მიღებას, რაც ამ სახელმწიფოს ტრადიციულ
და სარწმუნოებრივ სულიკვეთებს ეწინააღ-
მდეგება და რატომ ვებტო წინასწარ ბნელ
ოთახში შავ კატას, როდესაც ის იქ არ არის?!

- ისტერია ახსენეთ და სწორედ ეს სიტყვა
შეფერება ხშირად ჩვენი რადიკალების ქმე-
დებებს. ამჯერადაც აღმოვჩინებთ ისინი და
განაცხადებს, რომ ასეთ უმნიშვნელოვანეს
დღეს პრეზიდენტს ხელისუფლებამ სიტყვით
გამოსვლის საშუალებაც არ მისცა!

- გასული წლის დეკემბერში, ზუსტად ერთი
წლის წინ, წინასახალწლოდ, პრეზიდენტის
ამომრჩეველები მივიდნენ ორბელიანის სასახ-
ლესთან თავიანთ პრეზიდენტთან დასალაპა-
რაკებლად. პრეზიდენტმა კი, რომლის ასარ-
ჩევადაც ამ ადამიანებმა ორ ტურში მიიღეს
მონაწილეობა, ამომრჩეველს „მოვარდნილები“
უწოდა - აქ რას მომივარდითო! ახლა კი მისივე
ლექსიკას მივმართავ და ვიტყვი, რომ ქართულ
საზოგადოებას აბსოლუტური უფლება ჰქონ-
და, კითხვა შეებრუნებინა პრეზიდენტისთვის
და ეთქვა: რას მოვარდით აქ, რა გინდათ ჩვენ-
გან?! ამით ჩვენსა და პრეზიდენტს შორის 1:1
დამთავრდა უთანხმოება. ამიტომ არ უნდა იყოს
ნაწყენი, სავარაუდოდ.

- ბატონო დავით, პირველივე დღეს გაე-
რცელდა მოსაზრება, რომ კანდიდატის სტა-
ტუსი ახდენილ რეალობად, შესაძლოა, 2030
წლისთვის იქცეს. რას იტყვით ამასზე?

- ოცდაცამეტი წლის განმავლობაში ქარ-
თველობის მთავარი მანკიერება, რამაც დაღუპ-
ვის პირას მიგვიყვანა, იყო ჩვენი სულსწრაფო-
ბა და მოუთმენლობა. როდესაც ვსაუბრობთ
იმასზე, რომ 2024 წელს ევროკავშირის წევრმა
მთელმა რიგმა ქვეყანებმა შეიძლება გადახე-
დონ საკუთარ ადგილს ამ ორგანიზაციაში,
როდესაც ძალიან სწრაფად ვითარდება მო-
ვლენები მსოფლიოში, როდესაც არის ალბა-
თობა იმისა, რომ ევროკავშირი დაიშალოს და
პირველ ნაწილში შევიდეს ევრო წოდებული
ძველი ევროპის ქვეყნები; მეორე ნაწილში -
ჩრდილოეთ ევროპისა და სკანდინავიის ქვეყ-
ნები; უნგრეთისა და ავსტრიის გარშემო კი
სულაც, შესაძლოა, ცალკე ცენტრი შეიქმნას...
დღეს საუბარი იმაზე, თუ რომელ წელს გავხდე-
ბით ევროკავშირის წევრი ქვეყანა - უბრალოდ,
სასაცილოა! ყოველთვის გამოჩნდება ნებისმი-
ერი გვირაბის ბოლოს სინათლე, რომელსაც
ჩვენ გავყვებით. ამჯერად ჩვენ დავიბევეთ სურ-

ვილი, გავხდეთ ევროპული ოჯახის ღირსე-
ული წევრი ქვეყანა! საკუთარ ღირსებას მივხე-
დით, გაავადლიეროთ ეს ღირსება, ევროპული
ღირსების საკითხებსაც ყურადღებით დავაკ-
ვირდეთ. როდესაც მსოფლიო ჩამოყალიბდე-
ბა, შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება და იმ
პარამონიზაციის გზაზე დავდგეთ, რაც ჩვენში
ერთმანეთის გაუცხოებას არ გამოიწვევს და
ჩვენს ძირითად საბაზისო ფასეულობებს არ
შეეწინააღმდეგება.

- ქვეყანაში არსებობს მეორე უკიდურეს-
ობა - ადამიანთა ნაწილი, ვინც კანდიდატის
სტატუსს ეწინააღმდეგება და ამას გარკვე-
ულ საფრთხედ მიიჩნევს...

- ჩვენს „განრისხებულ“ ოპოზიციას, ევროე-
წოდებულ, ნაცემოდრობასა“ და მის გარშემო
გაერთიანებულ ძალებს დიდ ნაცარში ჩაუე-
არდათ პატარა კოვზი, რადგან არ მოელოდ-
ნენ ევროკომისიის ასეთ გადაწყვეტლებას
და დიდი სურვილი ჰქონდათ, ეს ყველაფე-
რი რეველუციის ტრიგერად გამოეყენებინათ.
თუმცა, არანაკლებ აგრესიული და მიუღებ-
ელი პოზიცია გააჩნია საქართველოში არსებუ-
ლი კონსერვატიული ძალების დიდი ნაწილს,
რომლებიც უკვე დაღუპვის კონსტრუქტს ხედა-
ვენ საქართველოში ამ სტატუსის მონიჭების
გამო. ხდება ვითარების სრული დემონიზაცია.
„ნაცემოდრობის“ სექტანტიზმი უკვე შესწავ-
ლილი გვაქვს და ვიცით, ვისთან გვაქვს საქმე,
მაგრამ ბარიკადების აქეთ გვყავს ადამიანები,
რომელთათვისაც „ენა, მამული, სარწმუნო-
ების“ ცნება უცხო არ არის. მინდა მივმარ-
თო მათ, ნუ მიეცემიან გადაჭარბებულ პანიკას
და ისტერიას! საქართველოს განვითარების
პოპულარული გზა არის მისი გადარჩენის გზა,
რომელიც ქვეყანას საშუალებას აძლევს, გადა-
ულახავი პრობლემების არსებობის შემთხვე-
ვაში, შეცვალოს ეს კონკრეტული ვექტორი.
სანამ ამის საშუალება არ დგას, მაქსიმალე-
რად უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის ეკონომიკ-
ური თუ პოლიტიკური განვითარების ყველა
შესაძლებლობა ჩრდილოეთიდან, სამხრეთი-
დან, აღმოსავლეთიდან თუ დასავლეთიდან. ნუ
დავძაბავთ ერთმანეთს! ჩემთვის ძალიან საწყე-
ნია, როდესაც ამ კონსერვატიული მოძრაობის
წარმომადგენლები დაუფარავად ლანძღავენ
უწმიდესს იმის გამო, რომ მან თავის განცხა-
დებაში მადლობა გადაუხადა ქვეყნის ხელი-
სუფლებას და ევროსაბჭოს მიერ გადადგმული
ნაბიჯი მოიწონა. უნდა ჩამოყალიბდნენ ჩვენი
„ტრადიციონალისტები“, „კონსერვატორები“,
„პატრიოტები“... თუ რომელ მხარეს არიან
ისინი - პატრიარქის მაგინებელთა ბანაკში თუ
უწმიდესის გარშემო გაერთიანებულთა გუნ-
დში. თუ ვინმეს რამე არ ესმის, გააძლიეროს
ლოცვა, გაძლიეროს მარხვა და უფალი აუც-
ილებლად გაუნათებს გონებას!

წონა ქარქაშაძე



2024 წლის არჩევნები მსოფლიოში კონსერვატიზმისკენ გადაიხრება

← 333.

დამარცხების იმედი აქვს. მაგრამ თუ მას ომი
მოებზრდება, ევროპამ შესაძლოა, უკან დაი-
ხიოს. გამორიცხვულად არ არის, საქმე სწორედ
მოებზრების ასეთ გამოვლინებასთან გვექონ-
დეს.

- აქვე ბაიდენის უკრაინისადმი მიმარ-
თული სიტყვებიც გავიხსენოთ: დაგეხმა-
რებით მანამ, სანამ შეგვიძლიაო. ეს რაზე
მიუთითებს?

- მან გადათქვა ის სიტყვები, რაც ადრე
ჰქონდა ნათქვამი — დაგეხმარებით, სანამ
დაგვირდებითო. ახლა დააზუსტა: დაგეხმა-
რებით, სანამ შეგვეძლებაო. ზეღუნსკი დახმა-
რებას ითხოვს. ბაიდენის განაცხადის ფონზე,
ამერიკას უჩნდება შანსი, თქვას: აღარ შემიძ-
ლია, ამიტომ ვერ გეხმარებიო.

2023 წლის პოლიტიკური მოვლენები
რომ შევჯამოთ, ეს წელი ძალიან საინ-
ტერესო და მნიშვნელოვანი იყო. კონკრე-
ტულად გამოვეყოფ ორ მოვლენას, რითაც
ეს წელი განსაკუთრებული იყო: ერთი, ეს
გახლავთ ევროპასთან და მეორე, ჩინეთ-
თან დაახლოება. ეს ორი საკითხი ერთმა-
ნეთს კი არ გამოირიცხავს, არამედ ამყარებს.
დაიხ, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ
დათანხმდა შედარებით ადვილად ევროპა
საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის
მონიჭებას, სწორედ ის გახლავთ, რომ მას

ჩინეთი დღეს უფრო აინტერესებს, ვიდრე
ადრე. ევროპასთან, ჩინეთთან ურთიერთო-
ბების დამყარებას და ქვეყნის შიგნით შვი-
ლობის შენარჩუნებას, რაც ხელისუფლების
დიდი დამსახურებაა, პოზიტიურ მოვლენად
მივიჩნევ.

- მომდევნო, 2024 წელი საარჩევნო
წელია. რა მოლოდინები გაქვთ?

- 2024 წელი ძალიან საინტერესო იქნე-
ბა. მით უმეტეს, რომ საქართველოს გარდა,
არჩევნებია ამერიკაშიც, რუსეთშიც, უკრა-
ინაშიც და ევროკავშირშიც. ფაქტობრივად,
მთელ მსოფლიოში საარჩევნო წელია და
სად, რა მოხდება, ძნელი სათქმელია. თუმ-
ცა, გეტყვით, რომ 2023 წელს დაგროვილი
მუხტის შედეგად, არჩევნები ყველა ქვეყანა-
ში უფრო მეტ მოულოდნელობებს მოიტანს,
ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. მეჩვენება, რომ
ყველა ქვეყანაში არჩევნები უფრო კონსერვა-
ტიზმისკენ გადაიხრება.

- ვის რა შანსები აქვს არჩევნებში? გაე-
დერდა ინფორმაცია, რომ ზურაბიშვილი
მეორე ვადით არჩევისთვის ემზადება.

- ეს ვერსია შეიძლება ლოგიკურად
მივიჩნიოთ, თუ გავითვალისწინებთ, რომ
გლობალურ მსოფლიო საქართველო არ
არის. გამორიცხვულად არ არის, ზურაბიშ-
ვილი სხვა ქვეყნებში წასასვლელად ემზა-
დებოდეს და არა საქართველოში გინდ პრე-
ზიდენტად და გინდ პარტიის თავმჯდომე-
რედ დასარჩენად. ქართულ პოლიტიკაში
ძალიან დაბალი რეიტინგით სარგებლობს.
ზურაბიშვილს სხვა ქვეყნების ადმინისტრაცი-
ულ სტრუქტურებში მუშაობის გამოცდი-
ლება აქვს, შეუძლია იქ მიღწეული შედეგე-
ბითაც იტრაბახოს. ამიტომ მგონია, რომ ის
უცხოეთში წასასვლელად ემზადება. ახლა
საუბრობენ, რომ მან შეიძლება სააკაშვილი
შეიწყალოს. პოლიტიკოსების, მით უმეტეს,
ქალების გამონათქვამებს, ზედმეტად დიდ
მნიშვნელობას ვანიჭებთ. გითხარით, რომ
იგი ევროპისკენ მიიღტვის. უცებ ევროპამ
რომ დააყენოს სააკაშვილის გათავისუფ-
ლების აუცილებლობის საკითხი, ხომ დიდი
შანსია, ზურაბიშვილმა სააკაშვილი გაა-
თავისუფლოს და ამით ევროპაში ქულები
დაიწეროს. დაიხ, მან ამით ქულები დაი-
წეროს არა ჩვენს ოპოზიციასთან, არამედ
უცხოელებთან. მეტიც, ჩვენი ოპოზიცია
საერთოდ არ არის დანატრებული სააკაშ-
ვილის გათავისუფლებას. მიშა თითოეუ-
ლი დღევანდელი ოპოზიციონერი ბელადის
კონკურენტია. პრეზიდენტი მიშას თუ გაა-
თავისუფლებს, დასავლეთთან მისასვლელი
გზა უფრო გაეხსნება.

თამარ შველიძე



თავმოყვარე ერმა საქართველომ კეთილდღეობა თავად უნდა უზრუნველყოს



გვესაუბრება გიორგი გუგუშვილი, პარტიული სისტემის მმართველი

— ბატონო სოსო, წელი იწურება, ეკონომიკური თვალსაზრისით რით იყო მნიშვნელოვანი 2023 წელი?

— ვიდრე შევითხვებ ვიპასუხებ, მინდა გითხრა, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას ლეიტმოტივად გასდევს ქართველი ერის ისტორიული მისწრაფება, რაც მნიშვნელოვანი ევროპული ორიენტაციის გამოხატულების დადასტურებაა. ევროსაბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს აღიარებას ნიშნავს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვერ კიდევ ბევრი შრომა მოგვიწევს, რათა ევროპულ ფასეულობათა სისტემაში საქართველო ღირსეულად იყოს წარმოდგენილი. თუმცა ფაქტია, ევროკავშირის 27-ე წევრმა აღიარა, რომ ისტორიულად, კულტურულად საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია.

რაც შეეხება 2023 წლის ეკონომიკური მიღწევებს, ბოლო სამი წელი საკმაოდ წარმატებული იყო. სტატისტიკური მონაცემებით, 2021 წელს ევროკავშირის 27 სახელმწიფოდან, საქართველო, ეკონომიკური ზრდის ტემპით 24-ს უსწრებდა, ხოლო 2022 წელს ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური ზრდის ტემპის მიხედვით 26 სახელმწიფო ჩამოიტოვა, მას მხოლოდ ირლანდიამ გაუსწრო. წელს კი ევროკავშირის ყველა ქვეყანას ვაჯობეთ და თვალსაზრისით წარმატება გვაქვს — ჩვენი ეკონომიკური ზრდა საკმაოდ მაღალია. ამ წლის პირველი ათი თვის მონაცემებით 6,9%-იანი ზრდა გვქონდა მაშინ, როცა ევროკავშირისთვის ეკონომიკის საშუალო ზრდის ტემპი, დაახლოებით, 1%-ის ფარგლებშია. ეს ადასტურებს, რომ საქართველომ უკვე დაიწყო მნიშვნელოვანი ზრდა და შეუძლებელია მისი დაზარალება. ის თანდათანობით აბსოლუტური და უპრობლემო მდგომარეობაში მოხვდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, რითაც 2023 წელი გამოირჩევა, ის გახლავთ, რომ ინფლაცია დაეკონტროლებინათ. მისი ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით, ნოემბრის მონაცემებით, სიმბოლური — 0,1%-ია. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საქართველო იმპორტირებული საქონელში საკმაოდ დიდი წილი ისეთ პროდუქტებს უკავია, რომლებზეც ფასები საკმაოდ მერყეობს, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ნავთობპროდუქტები. ნავთო-

ბის საქართველომ წარმოება მთლიან მოხმარებას რომ შევადარებოთ, ეს ალბათ, პირველი იანვრიდან შობის დღესასწაულების ჩათვლით გვეყოფა. დანარჩენ პერიოდში მთლიანად იმპორტზე ვართ დამოკიდებული. ამის მიუხედავად, საქართველომ მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ინფლაციის საკმაოდ დაბალი დონის უზრუნველყოფა შეძლო.

საინტერესო ტენდენცია იკვეთება სამომხმარებლო კალათის პირველადი დანიშნულების კომპონენტში, რაზეც ფასები საკმაოდ შემცირებულია. ეს ეხება სურსათს და უაღკოპოლო სასმელებს. სასურსათო კომპონენტში ფასები წინა წელთან შედარებით 3,1%-ით არის შემცირებული, რაც ბოლო ათწლეულის წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა. სურსათზე ფასების ასეთ მასშტაბურ შემცირებას საქართველოში 2013 წლის აპრილის შემდეგ ადგილი არ ჰქონია.

აქვე მოდი, ხელფასების ზრდის დინამიკა ინფლაციის კლების ტემპს შევადაროთ. 2022 წელს, წინა წელ-

სო საქონელბრუნვაში უფრო აქტიური როლს თამაშობს. ჩვენს სამშობლოში უფრო მეტად განიხილავენ არა საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტად — ქვეყნად, რომელზეც შეიძლება ტვირთებმა გაიაროს, არამედ სუბიექტად, რომლის აზრს, დამოკიდებულებას, პოლიტიკას მეზობელი ქვეყნების სასაქონლო უზრუნველყოფაში და ამ ტვირთების უსაფრთხო, უდანაკარგო გატარებაში შინაგანი მნიშვნელობა აქვს. ეს იმ პოლიტიკის შედეგია, რასაც საქართველოს ხელისუფლება დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის შენარჩუნებით ახორციელებს.

— რა იცვლება საქართველოსთვის სტატუსის მინიჭებით, ეკონომიკური კუთხით რა სიკეთეებს უნდა ველოდეთ?

— ყველა მოვლენას, პროცესს რაციონალურად, ფიზიკური თვალთვლით უნდა შევხედოთ. წარმოვიდგინოთ, რომ ევროკავშირთან ჩვენი ურთიერთობა, ეს არის ქუჩა არა ცალმხრივი, არამედ ორმხრივი მოძრაობით. ჩვენ ევროკავშირისგან

ევროკავშირი ეკონომიკური თვალსაზრისით ნიშნავს პროდუქციის მაღალ ხარისხს, მის უსაფრთხოებას და გარანტიებს, რომ ესა თუ ის პროდუქტი მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად ადამიანის ჯანმრთელობისთვის, სიცოცხლისთვის საშიში არ იქნება. ევროკავშირი მაღალ მოთხოვნებს ნიშნავს. შესაბამისად, ჩვენი სტანდარტები უსაფრთხოების კუთხით უნდა გადაიხედოს. ამასვე ბევრი მუშაობა მოგვიწევს. ეს პროცესი არამარტო ზემო, არამედ მაღალ პასუხისმგებლობასაც გულისხმობს. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ საჯარო სკოლა დავამთავრეთ და ახლა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები ვართ, სადაც მოთხოვნები გაცილებით მასშტაბური, კომპლექსური და პასუხისმგებლობაც ადევრატური უნდა იყოს. აი, ამ ფორმატში მოგვიწევს ურთიერთობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, პარტნიორებთან.

— ექსპორტის მოცულობა



თან შედარებით, საშუალო ხელფასი 230 ლარით გაიზარდა, წელს კი — 260-ით. წინა წლის მატებასთან შედარებით, ახლა ზრდა 13-14%-ს შეადგენს. ამ ყველაფერს ინფლაციის ფაქტორიც მივითვლიდით — წელს, რეალურ განზომილებაში, საშუალო ხელფასმა 244,5 ლარით მოიმატა, გასულ წელს მატება მხოლოდ 76 ლარი იყო. ანუ, წელს შარშანდელთან შედარებით საშუალო ხელფასი 3,2%-ით გაიზარდა. შედეგად, მოსახლეობა მეტი საქონლის შეძენას ახერხებს. აღნიშნული დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაშიც გამოიხატა. დაქირავებულ დასაქმებულთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით ახლა 70 ათასით მეტია. ეს ორი ფაქტორი ჯამში გვაძლევს რეალურ გარანტიას, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა დაბალი ინფლაციის პირობებში გაიზარდება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ 140 სახელმწიფოსთან ექსპორტ-იმპორტით ვვაჭრობთ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ საქსპორტო საქონელზე მსოფლიო ბაზარზე ფასები შემცირდა, ექსპორტის ზრდას ადგილი მაინც აქვს. ამ კონტექსტში, წელს საქართველოს სატრანსპორტო საკომუნიკაციო ფუნქციის როლისა და მნიშვნელობის მკვეთრი ზრდა შეინიშნება. საქართველო შრომის საერთაშორის-

ეკონომიკური კუთხით სარგებელს, ბენეფიტებს მივიღებთ. შესაბამისად, საქართველოსადმი მისი ეკონომიკური ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდება. ეკონომიკის სწრაფი ზრდა მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას გამოიწვევს. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის მოსახლეობის გადახდისუნარიანობის მოთხოვნა გაიზარდება, მათ შორის, იმ მაღალხარისხიან, უსაფრთხო პროდუქტებზე, რომლის მწარმოებელი და ექსპორტიორი ევროკავშირია. ჩვენი კეთილდღეობის ზრდა ორმხრივია. სხვათა შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხრივ ევროკავშირი, გაერთიანებული სამეფო და აშშ, ერთიანი დასავლური სამყაროს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გეოგრაფიულ სივრცეს წარმოადგენენ.

ჯამობრივად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის. ინვესტიცია ნიშნავს, რომ მათ საქართველოს მიმართ ეკონომიკური ინტერესი აქვთ: პროდუქციის აქ წარმოება, ბაზარზე გარკვეული სემენტის დაკავება და გაფართოება. მერე კი საქართველოს გამოიყენებენ პლაცდარმად იმისთვის, რომ ერთობლივი წარმოების შედეგად მიღებული პროდუქტია საქართველოს მეზობელ ქვეყნებში გაიტანონ. ფაქტობრივად, საქართველო შავი ზღვის აუზის ადმოსავლეთი პლაცდარმი იქნება.

იმპორტს ჩამორჩება — ნაკლები პროდუქტი გავაქვს, ვიდრე შემოვყავთ. ამ კუთხით რას შეცვლის ჩვენთვის კანდიდატის სტატუსი?

— ევროკავშირთან 2014 წელს დადებული ასოციაციის ხელშეკრულების შემდეგ საშუალება მოგვეცა, ევროკავშირის ბაზარზე ბევრი საქონელი გავაგავტანოთ, თუმცა ჩვენი რეალური სექტორის ჩამორჩენისა და არასაკმარისი მობილურობის გამო ამ პოტენციალს სათანადოდ ვერ ვიყენებთ. ევროკავშირის ბაზარი ჩვენი პროდუქციისთვის ღიაა, მაგრამ საკმარისი ოდენობის საქონელი თუ არ გვაქვს, რას გავიტანთ?! ამიტომ მეტი ყურადღება ქვეყანაში რეალური სექტორის განვითარებას დაეთმობა, პირველ რიგში, იკულისხმება მრეწველობა, აგრარული სექტორი და ასე შემდეგ. მაგალითად, ქართული ვენახისგან მეტი შემოსავალი რომ მივიღოთ, აქცენტი არა ვენახების პლანტაციების ზრდაზე უნდა გადავიტანოთ, არამედ მაღალი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გადამამუშავების საფუძველზე მიღებული პროდუქციის წარმოებაზე, რომელსაც მსოფლიო ბაზარზე მაღალი დამატებითი ღირებულება ექნება. ამისთვის რეალური სექტორის განვითარებას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რისთვისაც სპეციალისტების მიგნებების, რეკომენ-

დაციების გათვალისწინებაა აუცილებელი.

— ბატონო სოსო, ევროკავშირში შესვლა ბევრისთვის პენსიების, ხელფასების ზრდასთან ასოცირდება. რეალურად რა ხდება?

— ევროკავშირშიც არ არის ერთი დონის ხელფასები, პენსიები. თავად ხელფასისა და პენსიის თანაფარდობა ბევრ ევროპულ სახელმწიფოში განსხვავდება. ჩვენ უნდა დავძლიოთ ცალსახა უტილიტარული დამოკიდებულება, რომ ვიღაცამ უნდა გვარჩინოს, კარგი გენეტიკის, წარსულის გამო დახმარება აღმოგვიჩინოს და ასე შემდეგ. ნებისმიერმა ქვეყანამ, თავმოყვარე ერმა საკუთარი კეთილდღეობა თავად უნდა უზრუნველყოს. ასოციაციის ხელშეკრულების გაფორმება, კანდიდატის სტატუსის მინიჭება უკვე ნიშნავს, რომ გვენდობან. ადრე ათი წელი გვჭირდებოდა იმისთვის, რომ ვინა აგველო. ახლა ამისთვის ერთ საათსაც არ ვხარჯავთ, დრო დაგვეზოგა. ჩვენი მოქალაქეები ევროპაში თავისუფლად მოგზაურობენ. იგივე მოხდება პროდუქციასთან მიმართებითაც. საბოლოო ჯამში, მოსახლეობას გამოუთავისუფლდება დრო უფრო მეტი შემოქმედებით, ეკონომიკური საქმიანობისთვის. შედეგად, პროდუქციის თვითღირებულება, რომლის მწარმოებლებიც ჩვენ ვართ, გარკვეული ბარიერების მოსხსნის მერე კიდევ უფრო გაიზარდება. ეს პროდუქტია უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდება როგორც ქვეყნის გარეთ, ისე შიდა ბაზარზე. ეს არის ის პერსპექტივა, რასაც ევროკავშირთან დაახლოება გვაძლევს, რასაც სწორი გამოყენება უნდა. ეს მოგვცემს საშუალებას, გავზარდოთ შემოსავალი, მოგვება და ამის საფუძველზე მოსახლეობის ხელფასები და პენსიები.

— ბატონო სოსო, საქართველოდან ბევრი ქართველი უცხოეთში სამუშაოდ გასული. ევროკავშირში გაწევრიანების მერე ხომ უფრო მეტი შემდგომი გასვლა და იქ ლეგალურად მუშაობას მაღალ ხელფასზე. ამ კუთხით რა საფრთხეებს ხედავთ?

— ამ მიმართულებით რიგი დონის მიხედვით გატარებაა საჭირო. პირველ რიგში, თუ აქ ეკონომიკური ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდება, მაღალი ხელფასის საძიებლად ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რიცხვი თანდათანობით შემცირდება. კოვიდპანდემიის მერე ბევრი დისტანციურ მუშაობაზე გადავიდა. ფიზიკურად ადგილზე ყოფნა საჭირო აღარ არის. შეიძლება თბილისში იჯდე და გერმანიის, საფრანგეთის რომელიმე კომპანიას უწევდ მუშაობას. ქვეყნიდან გასვლის ზრდას ეს ფაქტორიც შეაჩერებს. თუმცა ფართო ხასიათი ექნება სხვადასხვა სამეცნიერო, კულტურულ დონის მიხედვით მონაწილეობას, სტუდენტთა გასვლას და ევროკავშირის წამყვან უნივერსიტეტებში განათლების მიღებას. ჩვენ მყარი საფუძველი გავაჩნია, რაც საშუალებას გვაძლევს, საქართველოში ვიამყაროთ და, ამავე დროს, თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური შემფასებლები ვიყოთ.

თამარ შველიძე

2023 წლის 15 დეკემბერი იყო. ვიკიკი სახლში და თავზე მცვიოდა ზანზარა ბომბები წარწერებით: „ზა როდინუ“, „ზა სტალინი“, ხოლო მათ გვერდზე წარწერად მოფრინავდა ლამაზი ბომბი, უხმო, უტყვი, ვარდისფერი ბაფთით „ესეც შენა!“ ფრიალ მეამა, გამიხარდა, ავხტი, დავეცი, სამეგობრო ამოვტრიალდი! არის, ასრულდა ჩემი ნატურა რომ სრულფასოვანი ევროპელი ვიყო!

ახლა შავ დღეში ვარ, არ ვიცი, როგორ შევიშნოთ ევროპელობა!

მთელი ცხოვრება კავკასიელი ვიყავი, მსოფლიო ცივილიზაციის დასაბამი ქვეყანა და ახლა როგორ ჩამოვქვეითდები?

ჩემი თანამემამულე საქართველოს მოქალაქეების სულიკვეთებისა არ ვიცი, ვერ ვუკვებ, მაგრამ მე დედამიწაზე მოვლენილ პირველ

კოლხებმა შემოინახეს თავიანთ მამათა ნაწერები, ამოკვეთილი კირბებზე, რომლებზეც ირგვლივ, ყოველ მხარეს, მოგზაურთათვის დაბეჭდილია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კირბები იყო ფირფიტები და მათ კოლხები იყენებდნენ“.

ძველი ბერძნული წყაროებიდან ასევე ცნობილია, რომ პელასგ-კოლხთა დედა-დედაების რეა-კიბელეს (ფასიანეს) ქურუმებს, კორიბანტებს, ძველთაგანვე ჰქონდათ დამწერლობა რომელსაც საიდუმლოდ ინახავდნენ. ხარაქს პეგამონიელი ამ დამწერლობას „ხრისოგრაფიას“, ანუ „ოქროდამწერლობას“ (ოქროთი წერას) უწოდებდა. ამ ცნობას იმოწმებს წმ. ევსტათიოს თესლონიკიელი „ოქროს საწმისის“ განმარტებისა და წერს „ოქროდამწერლობის

რეს პელოპონესის, ანუ პელასგიის ნახევარკუნძული. დასტურდება, რომ ბერძნულში გაურკვეველი ეტიმოლოგიის ტოპონიმები საერთოქართველური წარმოშობისაა;

4. ფესტოს დისკოსა და A კლასის ხაზოვანი ტექსტებში დასტურდება თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის მიერ შედარებითი და შინაგანი კონსტრუქციის გზით აღდგენილი საერთოქართველური ენობრივი სისტემის სტრუქტურული მოდელები;

5. ფესტოს დისკოსა და A კლასის ხაზოვანი საერთოქართველური ტექსტების ლინგვისტური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, რელიგიური, სასოფლო-სამეურნეო და ართიმეტიკული მასალისა და მრავალი არქეოლოგიური არტეფაქტის შესწავლით ირკვევა, რომ პელასგ-კოლხების (მინოსელების) მიერ შექ-



გაპაქართველეთი ავროპა, გილოსავთ!

სამეფო ხელისუფლებას ჩამოკვეთილი ციდან, სხვა გალაქტიკიდან და სხვაგვარად არ ძალმძის!

სტრატონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები (კირბანტები), ჰელიოსის (შხის) ვაჟები იყვნენ და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძემები კრეტაზე, ეგვიპტეზე, სამოთრაკზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიასში კოლხეთიდან იყვნენ მისულნი;

წმ. კლიმენტ ალექსანდრიელი უძველესი წყაროების მიხედვით წერს, რომ ქურუმ-ღვთაებებმა – დაქტილებმა შექმნეს დამწერლობა და აღმოაჩინეს მუსიკის რიტმი (ზოგიერთი მითის მიხედვით, მათ ჩაუყარეს საფუძველი არითმეტიკასაც). დაქტილებს მიეწერებათ ბრინჯაოს გამოდნობა, რკინის აღმოჩენა და დამუშავება;

თუთაობა ქიოსელის, თეოფრასტე ერესოსელის, აპოლოდორე ათენელის, წმ. ოტიოსისა და სვიდას ლექსიკონის ცნობათა მიხედვით, კორიბანტებს კირბების საკრალური, სასულიერო სახის წარწერების შექმნა მიეწერებათ. კრატინეს, ლისიას, პლატონის, ნონუსის, აგათა სქოლასტიკოსის, არისტოტელეს, ტიმეოსის, აპოლონიოს როდოსელის, ძენობიონის, კომეტას ხარტულარიოსისა და სხვათა ცნობების მიხედვით, ეს საკრალური წარწერები სრულდებოდა თიხის ან სპილენძის ფირფიტებზე, ხის დაფებზე, სტელებსა და სვეტებზე.

აპოლონიოს როდოსელი: „...

მეთოდის გამო „არგოს“ ლაშქრობა მოეწყო...“

ძირითადი შედეგები: I ძვ. წ VI-III ათასწლეულებში ხმელთაშუაზღვისპირეთის, პელოპონესის, ანუ პელასგიის ნახევარკუნძულის, ეგვიპტის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის უძველესი ადგილობრივი მოსახლეობა არა ინდოევროპული, არა ქამიტურ-სემიტური და არა ურალურ-ალტაური წარმოშობის იყო. ეს იყო პროტოქართველური (სამხრეთკავკასიური) მოსახლეობა, სანამ ამ ადგილებში ინდოევროპული ტომების (მაგ., ბერძნების) მიგრაცია დაიწყო. ძვ.წ XX-XV საუკუნეებში ამ არეალში ისევ დომინანტობს პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურა და ენა, სანამ გაერცვლებოდა ინდოევროპული (მაგ., ბერძნული) კულტურა და ენა;

2. პელასგურ-კოლხური (მინოსური) კულტურის უძველესი წერითი ნიმუშების, კირბების – ფესოსის დისკოსა და A კლასის ხაზოვანი წარწერების ლინგვისტურ-ფილოლოგიური და ისტორიულ-ტიპოლოგიური შესწავლა ნათლად აჩვენებს, რომ არსებობდა კონტაქტები პროტოქართველურ, პროტოინდო-ევროპულ და პროტოქამიტურ-სემიტურ ენებსა და კულტურებს შორის. ამ მასალით შესაძლებელი ხდება, უფრო ზუსტად განისაზღვროს საერთოქართველური ენის გაერცვლების ტერიტორია;

3. საერთო ქართველურმა ენამ შექმნა მნიშვნელოვანი სუბსტრატული ბერძნული დიალექტებისთვის, როდესაც ძველბერძნებმა დალაშქ-

მნილი ორმოცი საუკუნის წინანდელი საერთოქართველური კულტურა იყო საძირკველი პროტობერძნული ცივილიზაციისა, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას.

დროში უფრო ახლოს და ახლო სამეზობლოში

მსოფლიოს გადავწყვიტეთ, მაგრამ რა „გაქვს“ ახლო სამეზობლოში?

აღარავენ ახსენებს, რომ 1921 წლამდე კრასნოდარის მხარეში ინახებოდა რუკა, რომელსაც, დაწყებული სინყარის ქვეყნით (ერაყი), დამთავრებული მიმდებარე ტერიტორიებით: ქიმეთი (ეგვიპტე) სუდანი (კოლხ-ქალდეების იმპერია), პირენეი, აპენინი, ხმელთაშუა ზღვის აუზი ძველ ლაზიკამდე „მეგრელია“ ეწერა;

თუაფსემდე, მდინარე რამდე (ვოლგა), ყაზანი, რაზანი – მეგრული სახელებია; აზოვის ზღვა (ზღვა „ლაზოვსკოე“ – ლაზების ზღვა), მთელი ყირიმი, ჩრდილოეთ ინდოეთამდე, როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, მეწამული ზღვიდან კასპის ზღვამდე, კოლხეთი იყო. ეს ერთი ქვეყანა, ერთი ენოსი იყო და, შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ერთ ენაზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა.

პროლოტე (ძვ.წ VI ს.) და სხვა ძველი ბერძენი სწავლელები აღნიშნულ სივრცეში კოლხების გარდა სხვა ხალხებსა და ქვეყნებს ვერ ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, ან სხვა ხალხები ამ ტერიტორიაზე არ არსებობდნენ.

სამეგრელოდან (კოლხეთიდან) დაშორებულ აბსოლუტურად სხვა მხარეში, საინგილოში, დღესაც უამრავი ტოპონიმი და გამოთქმა მეგრულია. „მი რექ“ მეგრულად არის „ვიინ ხარ“; ვთქვათ, „დაუსწრელი“. „გაუკეთებელი“ და ა.შ. ინგილო წერდა ასე „უ-დაუსწრელი“, „უ-გაუკეთებელი“ და ა.შ. საიდან მოვიდა „უ“ წინსართი? „უ“ წინსართი კი არ „მოვიდა“, არამედ დარჩა იმ დროიდან, როდესაც საინგილოს ტერიტორიაზე იმავე ენაზე (კოლხურად) საუბრობდნენ რა ენაზეც დღევანდელი სამეგრელოში (კოლხეთში) საუბრობენ. „წერა“ მეგრულად არის „ჭარუა“, „დაუსწრელი“ – „უ-ჭარა“, „გაუკეთებელი“ – „უ-კეთებ“ და ა.შ.

კასპისპირეთში რომ დღესაც უამრავი „აიეტიზმებია“, ე.წ. „მეგრულიზმები“, მე ვიგონებ?

თუ გავითვალისწინებთ, რომ საინგილო (ჰერეთის ჩრდილოეთი რეგიონი) ყოფილი ალბანეთის რეგიონი იყო, საფუძვლიანი ეჭვია, რომ ალბანელები მეგრელები იყვნენ...

არსებობს IX საუკუნის „ბიზანტიური ენციკლოპედია“, სადაც ერთმნიშვნელოვნად წერია, რომ „ალბანელები მეგრელები არიან“, ამ დროს ბიზანტია მთელ დასავლეთ საქართველოს „ლაზიკას“ უწოდებდა, მაგრამ მათ – მეგრელებს. რის საფუძველზე უნდა დაწერილიყო ეს? ერთადერთი ვარაუდია – ენის საფუძველზე.

სახელწოდება „ჭარა“ „ა-ბედისწერა“, „აი, ბედისწერა“ – „ჭარა“ მეგრულად „ბედი“-ა. აჭარა ტერიტორიულად იყო, მაგრამ როგორც ადმინისტრაციული ერთეული, არ ყოფილა, ვერ იყო ლაზიკაში შემავალი ტერიტორია, შემდეგ თურქეთის იმპერიაში და სარფის აქეთ რაც დარჩა, იმას დაერქვა გურია, რაც მეგრულად „გული“-ა...

თურქებმა რომ შუა საუკუნეებში ბათუმი და მისი შემოგარენი წაიღეს, მაშინ „საზავაი“ დაარქვეს და „დიდა-ჭარა“ საიდან „მოვიდა“? – ოღონდ მეგრული (კოლხური) ძირი არ ახსენონ და... „ქობულეთი“ რა არის – „ქობალეთი“, სახორბლეთი...

„აფხა“ მეგრულად არის „ბეჭი“ – რუკას რომ დახედავთ, სწორედ ბეჭის ადგილზეა... „გური“ ტრაპეზუნდიდან ნიკოფსამდე გულის ადგილზეა. აფხაზს რომ ზღვის სახელი არ ჰქონდეს, „ამორეს“ უწოდებდნენ, როგორი წარმოსადგენია – „ზღვა“ – მეგრულია – ზღო!..

აფხაზეთში მცხოვრებ მეგრულს ერქვა „აფხაზი“; ლაზიკაში მცხოვრებ მეგრულს – ლაზი; ჭანეთში მცხოვრებს – ჭანი; მარგვეთში მცხოვრებს – მარგველი და ა.შ. გვარი „მარგველასვილის“ ფუძე „მარგველ“ ამბობობს, რომ არის „მარგვეთიდან“, „მარგალიდან“ – „მეგრული“ მოდის ყველა...

ყველაფერს, მათ შორის ქალაქებსაც, იმ ენაზე ერქვა სახელი, რა ენის ხალხიც ცხოვრობს იქ. მაგალითად, „მანაჩქალა“ მეგრულად არის „მთოხელი“. წალენჯიხის რაიონში არის სოფელი მანაჩქალა. „ჩაქეა“ არის „თონხა“. რადგან მათთან არ იყო, რუსული „ქ“ გადა-

კეთდა „კ-დ“ და ასე გამოვიდა. ასევე „განჯა“, მეგრულად – „გაღება“, იქიდან იყო შემოსასვლელი; „ვეჯინი“ – „არ დაუცადო“; „არტანუჯი“ – „არტანის ყური“, „ფუჯი“ – „ფური“-ა და ა.შ.

კრასნოდარისკენ უამრავი დასახლებებია, რომლებსაც მეგრული სახელები ჰქვია... სოჭის ცოტა მოშორებით პატარა დასახლებაა, სახელად „ბარცხა“, მეგრულად „ფრჩხილი“, ალბათ, ტერიტორიის სიმცირის გამო „ფრჩხილისოდენა“; ტუაფსეს გზაზე „მიტოშევაჯი“ – „მიტოს ყვერები“ და ა.შ. – უამრავი სახელი...

პირდაპირ მეგრული ფუძეები აქვთ ქართულ გვარებს, მაგრამ, მაგალითად, „თუთაშვილი“ არ იცის რომ „მთავარის შვილია“... გამბარაშვილი – „გამბარ“ – ყავარი; ხუჯაძე – „ხუჯ“ – ხარი; ტორონჯაძე – „ტორონჯი“ – მტრედი და ა.შ. უამრავი, თუმცა, ეს უკვე სხვა თემაა...

თუ ერის ერთიანობას განსაზღვრავს ხალხის ისტორიული მეხსიერება, მსოფლიოს ბევრ ხალხს შემორჩა კოლხეთის სამეფოს ეპოქიდან ბევრი რამ, რაც მხოლოდ კოლხურია და რატომ არ უნდა ვთქვათ ხმამაღლა, რომ მსოფლიო ცივილიზაციის სათავე მართლაც კოლხეთია?!

და მე ვეროპელი ვარ თუ მყარი ქართველი?

კულდაზუა მარიონეტი ხაბიეშვილის მსგავსი არსებები რას იტყვიან, სრულებით არ მაინტერესებს, 1:0 კი არა, 7-ჯერ ექვსი რომ დაწეროს, მოცემულობა არ იცვლება. მე ქართველი ვარ და არასოდეს დავიღუბები! მე ქართველი ვარ და არავითარი „მამასადაძე“!

რომელი „რუსული პარტია“, რომელი მოხარული წაბლი?!

ისიც კი ხვითთა, ნატურისთვალის ნაცვლად წაბლი უდევს ხაზში, მაგრამ მაინც... რაღაც გაერთიანებად გამოდის და აბოლებს, ევროკავშირის დროსა პირველად მიხელო სააკაშვილად აღმართაო...

დღევანდელი საქართველო ის საქართველოა, რომელზეც ვერავენ წარმოდგენა თუნდაც ხუთი წლის წინათ, რომ ევროპის „ნაწილი“ გახდებოდა რამენაირად...

ეს ჩემი საქართველოა, რომელიც აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას მსოფლიო ასპარეზზე და ეს სიტყვა იქნება მსოფლიო დასაბამისა დედამიწაზე!

გაგაქართველეთი ევროპა! გილო-ცავთ!!

მანა ჭამლიძე



„რადარებიდან გამქრალი“ საქართველო შუაგულ ევროპაში აღმოჩნდა


საქართველოს მოძულე შინაური მტრების მიერ დახასიათებულმა „მსოფლიო პოლიტიკური რადარებიდან გამქრალმა საქართველომ“ ჰოი, საკვირველებავ, პირდაპირ შუაგულ ევროპაში ამოჰყო თავი პრადის სამიტიზე. კიდევ უფრო „საკვირველი“ ის აღმოჩნდა, რომ ჩვენი პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ესტონეთის პრემიერთან ერთად უძღვებოდა დისკუსიას. „რადარებიდან გამქრალ საქართველოს“ ღირსეული ადგილი მიეჩინა, მისი პრემიერი ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის სამიტის პირველი სესიის - „შვიდობა და უსაფრთხოება“ თანათავმჯდომარედ აირჩიეს.

ნამდვილად არ არის ხუმრობა საქმე, რომ პატარა საქართვე-

ლო ევროკავშირის 44 ქვეყანასა და 17 პარტნიორ სახელმწიფოს მეთაურებთან ერთად მიიღებს მონაწილეობას, მით უმეტეს, რომ ორგანიზაციის წევრი და პარტნიორი ქვეყნების ლიდერები ამ ფორმატში პირველად იკრიბებოდნენ და საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ინიციატივით, ევროპელი მაღალჩინოსნები არსებულ გამოწვევებზე (არა მხოლოდ) სასაუბროდ იყვნენ მომართული.

მრგვალი მაგიდის ფორმატში დაგეგმილი მაღალი დონის თემატური დისკუსიის გამართვა პრადის სასახლეში, რომლის თანათავმჯდომარე ჩვენი პრემიერია, სწორედ რომ აღსანიშნია.

ქვეყნის შიდა მტრები პირში წყალჩაგუბებულები არიან, ვერ ვერ ჩამოუყალიბებიათ, რა თქვან,



ეს სტატია „საერთო გაზეთის“ 2022 წლის 33-ე ნომერში დაიბეჭდა. იმ დროს ოპოზიცია საქართველოს „მსოფლიო პოლიტიკური რადარებიდან გამქრალ“ ქვეყანად მოიხსენიებდა. მათ არ უნდოდათ და არც სჯეროდათ, რომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს მიანიჭებდნენ. დღეს როცა უკვე კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიღებული გვაქვს, გადავწყვიტეთ გავიხსენოთ, თუ რა გზა გაიარა ნაბიჯ-ნაბიჯ ქვეყნის მთავრობამ აღნიშნული შედეგის მისაღწევად.



რანაირად გააბიაბრონ გამართული შეკრება, რა თქვან, რას დააბრალონ, რომ საქართველოს პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს ესტონეთის პრემიერ კაია კალასთან ერთად შესთავაზეს თანათავმჯდომარეობა თემატურ დისკუსიაზე „შვიდობა და უსაფრთხოება ევროპის კონტინენტზე“.

კაცმა რომ თქვას, თუ მცირედი სამართლიანობა მაინც არსებობს, რატომაც არ ეკუთვნოდა საქართველოს პრემიერს შვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დისკუსიის წამყვანობა, როცა სწორედ იმისთვის კიცხავენ ქვეყნის შიდა მკვნიბლები, რომ კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა, საქართველოსთვის რამენაირი საფრთხე შეექმნა და პროვოკაციულად ჩართულიყო უთანასწორო ომში მხოლოდ იმიტომ, რომ „ვიღაცებს“ ასე სურდათ და ყველანაირად შეეწინააღმდეგა ე.წ. „მეორე ფრონტის“ გახსნას თავის ქვეყანაში, საქართველოში.

როგორც გვამცნეს, დისკუსიის ფარგლებში განიხილებოდა არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები... „ვიღაცებისთვის“ აბსოლუტურად „მერე, რა“ არის, თუ საქართველოში ბომბების ცვენა იქნება, მაგრამ დისკუსიის მონაწილეებისთვის და, პირადად ჩვენი პრემიერისთვის ეს არ იყო და არის „სულ ერთი“. სწორედ ამიტომ ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას...

ცხადია, საუბარი იყო ევროპული ოჯახის მშენებლობის გაგრძელებასა და იმ ქვეყნების ინტეგრაციაზე, რომლებიც ევროპულ ოჯახთან არიან ასოცირებული. აღინიშნა, რომ ახალი პლატფორმა, როგორც ევროპული პოლიტიკური გაერთიანება, არის მექანიზმი, რომ

გაიხსნას დისკუსიები, სადაც საუბარი იქნება ამ ქვეყნებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნაზე, რაც სამომავლოდ ევროკავშირში ინტეგრაციაში დაეხმარებათ, ასევე, კლიმატურ ცვლილებებზე, მიგრაციასა და ენერჯეტიკაზე.

როგორც ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა, დისკუსიას ესწრებოდნენ: საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ლიეტუვის პრეზიდენტი გიტანას ნაუსედა, რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი, ხორვატიის პრემიერი ანდრეი პლენკოვიჩი, მონტენეგროს პრეზიდენტი მილო დუკანოვიჩი და ლუქსემბურგის პრემიერი ხავერ ბეტელი.

ერთგვარ ნიშნისმოგებად ჩაითვლება, მაგრამ ის დროა, როცა უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის არც ერთ მონაწილეს აზრად არ მოსვლია, რომ დისკუსიის ფორმატი შეურაცხმყოფელი იქნებოდა რომელიმე მათგანისთვის და აზრის გამოთქმა ან საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, გახიარება, შეკითხვის დასმა ან რაიმეხე კონკრეტული პასუხის გაცემა, რომელიმე მონაწილეზე შემამოფრთხელ თავდასხმად განიხილებოდა.

ზოგადად, კვლავ ერთად გვახსენებენ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას, მაგრამ, რაც რეალურად მოხდა ცოტა ხნის უკან, ვიხილეთ. ჩვენმა კორესპონდენტმა შეკითხვა დაუსვა ლიეტუვას პრეზიდენტს (არა მხოლოდ), რა სარგებელს მოუტანდა ეს ფორმატი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მისწრაფიან, გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები.

„პირველ რიგში, ხაზი მინდა

გავუსვა, რომ არ უნდა დაინახოთ ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა როგორც ევროკავშირის გაფართოების შემცველი, რადგან ევროპის გაფართოება სხვა არხა და ეს არხი ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნებისთვის, რომლებსაც უკვე გაქვთ ძალიან პოზიტიური ახალი ამბავი ევროპული საბჭოდან. ახლა ყველაფერი თქვენს ხელშია რათა შეასრულოთ საშინაო დავალება. ჩვენ ძალიან დიდი ენთუზიაზმით ვართ განწყობილი ძალიან სწრაფად დაეწყოთ მოლაპარაკების პროცესი როცა ქვეყნები შეასრულებენ რეკომენდაციებს. იმედი მაქვს ეს სწრაფად მოხდება. უნდა ვიპოვოთ საერთო პოზიცია უკრაინაში რუსეთის ომის დასაგმობად. უმთავრესია უკრაინის მხარდაჭერა ყველა შესაძლებლობით: სამხედრო დახმარება, ეკონომიკური დახმარება, ფინანსური... ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, ვიპოვოთ გამოსავალი ჩვენი ენერგობაზებისთვის, რათა ენერგოგამძლეობა გავაძლიეროთ.“

სხვამ ინფლაციაზე ინაღვლა, კიდევ სხვამ ენერგოკრიზისზე... მოკლე კომენტარებიდან ისმოდა, რომ ყველა ე.წ. ევროპული ლიდერი თავისას ნაღვლობდა, რაც, ფაქტობრივად, ჩვენ ნაკლებად გვეხება...

მოკლედ რომ ვთქვათ, ევროკავშირისა და პარტნიორი სახელმწიფოების, ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის თანამოაზრეთა გაერთიანების პირველი შეხვედრა 44 ქვეყნის ლიდერის მონაწილეობით შედგა, რაც, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებულმა საომარმა მოქმედებებმა მოიტანა. თუმცა, რა იქნება ამ შეხვედრის შედეგი, მომავალი დაგვანახებს.

ნინო დავუშვილი

- ზურაჯან, ნახე, რა ტიხა მოველ? - ისე ჩუმად დამადგა თავზე ერვანდა, სერიოზულად შემეშინდა, მოჩვენება მეგონა.

- ბიჯო, რა ფოკუსებს მიტარებ, ეგ მეჭირვება? - შევაცოლდე თავი.

- ნუ, ვერე უნა! - საჩვენებელი თითი ამიბზიკა უშნო მორიელით.

- მოვიდა გველები აბოთეოზი, - გამხმარ ფოთლებს ხვეტდა ნანული თავის ეზოში, მაგრამ ისე ხმამაღლა თქვა, მეგონა, ყურში ჩამყვინდა.

- აგე, ნახე, ეგ ისევე გომად დარჩა, - თვალი ჩამიკრა ერვანდამ.

- ნანულია, რა! - გამეღიმა.

- ტო, უფე ივროპელები გვეჭვიან, მაგან კიდე უნდა მაგრე ივრედნოს? - თვალები ააფახულა ერვანდამ.

- მიდი, რა!

- ვა, სადღა მივიდე, უფე იქა ვარ! სლუში, კლიანუს, თუ მეჯვრებოდეს! ტო, მართლა მოგვცეს ისა?

- მოგვცეს, რა გააჭირე საქმე!

- კიდე მე გააჭირე? საქმის გაჭირება ეხლა ნახე! ეგენი ზო იცი, მაგარი დაცურებულები არიან, ნახე, ეხლა კიდე რა მოგვცენ! სლუში, ნი მაგუ, რა!

- ბიჯო, რა გამიჭირე საქმე, რა გინდა?

- ზურააა, ჩუმად რატომ ხართ, არაფერი მესმის! - გამოგვიკვილა ნანულიმ.

- გოგოჯან, ეგეთ ფინთ ხმაზე რათა კნავი, სირცხვილია, მე ივროპეისკი, - გაეპასუხა ერვანდა.

- მანდ არ მომიყვანო, თორემ კნავილს გაჩვენებ! - დაექანდა ნანული. მე და ერვანდამ კმაყოფილებმა გადავხედეთ ერთმანეთს. ისეთი ხაშის სუნი გამოდიოდა მისი სახლიდან, რომელ საათზე ადგა, იმასდა ვარკვევდით.

- სლუში, ზურა, ნიორი არა გაქ?

- მაქვს.

- ვა, ზნაჩიტ, ჯერ არ მოხარშულა, თორე უფე შემოიტანდა, ... ტო, ეხლა რა უნა ვქნათ?

- თურქეთს მივბამოთ! - ცხადი იყო, რაც აწუხებდა ერვანდას.

- ტო, გავარიატ, ისტარიჩესკი

ამბავია. ზო, ნუ, არი! ტო, მეშინიან! აბა, მისმინე: ბლნი, რომელი ივროპელები ჩვენა ვართ?!

- ნუ, ერევანი ცოტა იქითაა, ხუთი საათით აგვიანებთ! - უკბილოდ გავეხუმრე.

- ვერე იყოს! ვა, ზამთარში უფრო გვიანია, პერევალი ტენამს! ტო, ისე მოყინავს, ცეპები თუ არა გაქ, ტრუბი ხარ! - გამისერიოზულა ერვანდამ.

- მოვედი! - დაგვადგა დონჯით ნანული.

- ვა, ახიკჯან, მოდი, პაჩი გექნა, - ისე დაუტკბა ერვანდა, გამიზნული ჩხუბი წარმოვიდგინე.

- გადი იქით, - ხელი ჰკრა ნანულიმ.

- რათ ივრედნები, შე გომო, ივროპაში ხარ! არაა, სექტანტი არ კეთდება ივროპად, ვარიანტ ჩკა! - დაასვა ბეჭედი საკუთარ ნათქვამს ერვანდამ და მრავლისმთქმელად გადმომხედდა.

- ზურა, უთხარი რამე ამას, თორემ მოვკლავ! - ნანულიც მე მომადგა.

ორივენი ჩემი უსაყვარლესი ადამიანები არიან, ჩემი ბავშვობა, ჩემი ორი იმედი, მაგრამ მეციცნება და რა ვქნა?

- გაჩერდით ახლა. არ იჩხუბოთ, თორემ გული გამისკდება, - ამოვღერდე უნიათოდ.

ვითომც აქ არაფერი, ფეხი ფეხზე არხეინად გადადიო ერვანდამ და მიაბიტი თვალებით მიაშტერდა ნანულის.

- ვაიმე, რა დებილია?! - სიცოცილი აუტყდა ნანულის. - ზურა, ეხლა ეს სტატუსი რომ მოგვცეს, რა უნდა ვქნათ? - მომიტრიალდა მე.

- იფხანეთ, ცავატანემ, ი სემსოროკ დააყოლეთ! - დაარიგა ერვანდამ.

- რა ვიფხანოთ, ბიჯო, ვერა ხარ, რა! ელემენტარული სერი-

ოზულობა არ შეგიძლია? - დაუტატანა ერვანდას ნანულიმ და აი, მანდ შეცდა.

- იიი! ტოო! ნანულაჯან, ოროსანი იყავი? - იყავი! გაიზარდე, დაბერდი, კიდე ოროსანი რათა ხარ, ცხოვრებამ სკანცამი ამოგარტყა ჩეკი?

- გველო! - ეცა ნანული თმის ამოსაწიწნად, მაგრამ ასე ადვილი არ არის ერვანდას თავიდან ერთი ღერი თმის ჩამოვარდნაც კი.

- აპიაც „გველი“! გოგო, მთელი პარიჟი იფხანს, ჩემგან რა გინა? დაჟე ისე იფხანებენ, ანგლიასაც მიადეს, ი ეშო ყველასა! სლუში, ჩვენც უნა მოგვადონ? პატარა რო ვიყავი, ჩემი მეზობელი როა, „ბედ-

იხარშება? - მთავარი კითხვა დასვა ერვანდამ.

- ვაიმე, ცუდად ვარ! - სერიოზულად დაფეთდა ნანული.

- ზურაჯან, ეს ცოლოა, წამალი უქნათ, - ისეთი წკრიალა ხმით მითხრა ერვანდამ, თითქოს მაშინდა გამოფრინდა მეცხრე ციდან.

- ზურა, ადამიანურად გამაგებინე, ახლა რა მოხდება, ომი დაიწყება? - ისეთ პანიკაში ჩავარდა ნანული, აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

- გოგოჯან, ლავროვ ძია გავარიატ, მე ივროპა ხელ არ მიშლის, ნანულა მაინცა მიყვარს, ტაკ ჩტო, ნი ნერვნიჩაი! თუ რამე, აგე, მე და ზურა წავალთ და დავიცვამთ!

- სად დამიცვამ, შე დეგენერატო!.. არ შემიძლია, მეშინია..... - რაღაც აფორიაქებდა ნანულის.

- ჩემი ამიკა ანბობს: ეხლა გეტირებთ ფოფა! ნუ, მამენტ, იქნებ, არც გეტირებთ - აქ ანბებია, მანდ არ გეობნებია. ბაზარია აწეული, გავარიატ, რო ეს ას ათი კაცის მაფიაა! ტაკოი მახინჯ არგანიზმ უნა დაინგრეს, ვოტ!

- ერვანდ, ვერ გავიგე...

- რა ვერ გავიგე, ზურაჯან?! უმნი კაცი ხარ - ცოტა მაიცა, რა, რისი სტატუსი მოგვცენ, სუ ალარავის ემასორებთ!... ვაფშეტა, სტატუსი გაიკეთონ უკანა! ტო, ზო იცი, მაგრა არ მევასებია ვილაცები, იმენა თურქები, მარამ, აბა, კითხე, ის სტატუსი რო აქთ, რა ჩემ ბაბასილად უნათ? ვერე გვექნება ჩვენაც! ტო, იმ ტილიამ ივროპას არაფელი აღარა აქ, შეუჭამა ამირიკამ და შიათ, რა! ვაა! შენა რა, არ იცი, იზრავს რათ უყვარვართ? ტო, იზრავლი რა არი? - შხიანი ჩქჩქა! ჰო, კანენა, დოლარები თუ დამაყარე, მეც კაი ბაგრატიონი გახვდები, მარამ ვიქნები? არავისაც არ უყვარვარ, დაჟე ა ემ ნანულასა, იმითო, რო სუ სიმართლეს ვამბობ! ვერე არ ალი? - მიუტრიალდა ჩაფიქრებულ ნანულის.

- მგონი, მართალს ამბობს ეს დეგენერატი, - ისე ჩუმად თქვა ნანულიმ, ძლივს გავიგე.

- აპა! გავარიატ დეგენერატ, ნო, ვერიტ! გოგოჯან, რაცა არა გაწვობს, ტყვილია? ტაკ ჩტო, გავიხაროთ მინამ ცოცხლები ვართ, რო აღარ ვიქნებით, გვეწვიოს! ნუ, ეგ ცოტა ვერ გამოდის, მაგრამ მაინც ვერე, - გაეცინა ერვანდას.

- რაღაცებს მართალს ამბობ,



ერვანდა და ივროპა

ნაღდს, - ჩამაფიქრა ერვანდას მონოლოგმა.

- ტო, ბოიშვილი ვიყო, ნაფიქრი მაქ! ამ რუსეთსა, სუ არ კიდა, სად წავალთ თუ იმას ფეხებში არ მოვედებით? სლუში, ეგეთი უმნი სასტავი, ეხლა რო ვლასტში გვაბია, გონი არ ქვექონია! ტოო, იმას როგო ვიფიქრებდი, რო ვინმე ამერიკ-ივროპას ეტყოდა, დავაი, ნე სტრაკუიტე, ჩემ საქართველოს მაგრე არ აწვობსო. ვაა, აბაღდეტ მოჟნა!

- მორჩა, გადაწყვეტილება მივიღე! - მოულოდნელად იქუნა ნანულიმ და მაგიდაზეც ხელი დაგვირტყა.

- რა ხდება, ნანული? - ვერევე ვკითხე. ვინმემ ხელი დამირტყას ჩემს მაგიდაზე, ჩემს სახლში, ცოტა არ იყოს, ვერ ავიტან.

- ხაშს დააგვიანდება, მივიღე ვარ ოფისში და ვტოვებ პარტიას! - წამოხტარი ნანული როგორი ასატანია, თან ხაში უდგას გაზზე.

- რა იყო, ბადრი შუბლაძეს მისდევ? თქვენ წყვილი იყავით, ია ჩუვსტოვოვალ! - მეც ერვანდასავით გამომივიდა.

- არა! ბადრი ძალიანაც თბილი ბიჭია, მაგრამ მე აღარ მაქვს ატანა! მიშიკო დაიკიდეს; პარტია დაიფშენა; მე ვინ ვარ, ვეღარ ვიგებ... - ეს ნორმალურია? აღარ მინდა იმ იდიოტებთან! - მცირედელა ეკლდა ნანულის ისტერიკამდე.

- გოგოჯან, ვინამ გაგაბრაზა? მიშა იქა გვაგ, საცა იყო; გროშა აქა გვაგ, რა გაფეთებს? რათა ხართ ეგ სექტანტები ნედარაზუმენიე ხალხი? ის არ მოგწონთ, ეს - არ მოგწონთ, მეგვის წაბლზე როგო ხართ?! ტო, რანაირი ტენისი ჰმა იციან, ჩახიხევენ, როგორც რომ „ვესნა“.

- რა „ვესნა“, აფრენ? ბიჯო, რა ქადაგებ დაეცი, მეშინია და არ ვთქვა? მშვილობა იქნება? მეშინია... - დაფეთებული იყო ნანული.

- კი, ნანულაჯან, მშვიდობა იქნება... მინამ ეს ხელისუფლება გვექნება, მშვიდობა იქნება და მერე - არ ვიცი! ნო, „ვესნა“ შარვლის ტოტსა ითრემდა.

- დებილი ხარ! აი, გასაღები, უცბად მოვალ, ხაშს მიხედეთ! - მოგვიგდო სახლის გასაღები ნანულიმ და გავარდა.

- ტო, მიყვარს ეს ჩვენი ნანულა, - უსათნოესი გამომეტყველებით მითხრა ერვანდამ.

- მეც, ერვანდ!



მსოფლიო დრაკონის მოლოდინში

პოლიტიკური და კალენდარული წლის დასრულებამდე დღეებია დარჩენილი. განვლილ პერიოდში ბევრი მოვლენა მოხდა — სასიამოვნოც და საგანგაშოც. საგარეუდოდ, ახალ, 2024 წელს მსოფლიოში პოლიტიკური ცხოვრება რადიკალურად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც შეიცვლება, რისი წინაპირობაც უკვე არსებობს და რასაც სხვადასხვა ქვეყნის ანალიტიკოსებიც პროგნოზირებენ.

ორივე კვირის წინ სამხრეთ ამერიკა ფართომასშტაბიანი ოფიციალური ომის დაწყების ზღვარზე იმყოფებოდა. მიზეზებზე ჩვენი გაზეთის წინა ნომერშიც ვწერდით — ვენესუელამ გაიანას ტერიტორიაზე არსებული სადავო რეგიონი მიიერთა და 24-ე შტატად გამოაცხადა. მომხდარმა შეაშფოთა ორივე ქვეყნის მეზობელი სახელმწიფოები. ბრაზილიამ საზღვრებთან სამხედრო ძალების მობილიზებაც დაიწყო. გამართლდა ჩვენი ვარაუდიც — ფართომასშტაბიანი ომის დაწყება არარეალურად რომ შეეფასათ. საბედნიეროდ, ასეც მოხდა — სამხრეთ ამერიკიდან გავრცელებული ინფორმაციით, დავას ქვეყნები მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებების საშუალებით გადაწყვეტენ. თუმცა საფრთხე კვლავ რჩება, რადგან უცნობია, რას გადაწყვეტენ ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ის კორპორაციები, რომლებსაც გაიანას ხელისუფლებამ იჯარით გადასცა საბადოები, ვენესუელამ კი ტერიტორიის დატოვება მოსთხოვა.

მართალია, გაიანას ხელისუფლებამ ვენესუელის გადაწყვეტილების შემდეგ დახმარებისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბრიტანეთს, ბრაზილიას მიმართა, მაგრამ პასუხი მხოლოდ ბრაზილიამ გასცა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტისთვის მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდომა შესთავაზა მხარეებს. საგარეუდოდ, ბრიქსის ფაქტორმაც ითამაშა გადაწყვეტი როლი.

ვითარება ახლო აღმოსავლეთში ყოველდღიურად გაუსაძლიესი ხდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განცხადებით, დაზარალებული საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა. გასულ კვირას ანკლავში ცხარე ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა, რომლის შეწყვეტაზე არ ფიქრობს ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიახუ. მას აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმაც მოუწოდა ცეცხლის შეწყვეტისკენ და გააფრთხილა, არ გაიმეოროს აშშ-ის მიერ დაშვებული შეცდომები — ავღანეთსა და ერაყში საომარი მოქმედებების დაწყება. მაგრამ ნეთანიახუ შეუვალია. უფრო მეტიც, გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელის არმია აღმოჩენილი გვირაბების ზღვის წყლით ამოვსებას გეგმავდა. ცნობამ ქვეყნის მოსახლეობა აღაშფოთა, რადგან მსგავს ქმედებას „ჰამასის“ მიერ მძევლად აყვანილი ადამიანებიც შეეწირებოდა. ამის გარდა, გვირაბების წყ-

ლით ამოვსება ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს. თითქმის ყოველდღე აწვობენ აქციებს თელ-ავივისა და იერუსალიმის მაცხოვრებლები, რომლებიც ხელისუფლებისგან მძევლების ოჯახებში დაბრუნებას მოითხოვენ, ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე კი რეგულარულად იმართება აქციები დაზარალებულთა ცეცხლის შეწყვეტის მოთხოვნით.

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა გასულ კვირას — „ჰამასის“ ტყვეობიდან სამმა ადამიანმა მოახერხა გაქცევა, რომლებიც თეთრი დროშით ხელში დახმარებას სთხოვდნენ ისრაელელ ჯარისკაცებს. სამწუხაროდ, სამხედროებმა ისინი პალესტინელებად მიიჩნიეს და დახვრიტეს. მომხდარმა კიდევ უფრო გაანაწილა ისრაელის მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ სარდლობამ შეცდომა აღიარა და ბოდიშიც მოიხადა.

ახალ თავსატეხად იქცა რეგიონისთვის იემენელი ჰუსიტების გააქტიურება. ქვეყანაში 2004 წლიდან მოყოლებული, სამოქალაქო ომია. ჰუსიტები მხარს პალესტინელებს უჭერენ. არ ატარებენ გემებს, რომლებიც სუეცის არხით აპირებენ ხმელთაშუა ზღვაში გასვლას. განსაკუთრებით ემტერებიან იმ გემებს, რომლებიც ისრაელისკენ მიემართებიან. რამდენიმე ტვირთგადამზიდა კომპანიამ უკვე უარი განაცხადა სუეცის არხით სარგებლობაზე. ექსპერტების შეფასებით, შემოვლითი გზით სარგებლობის შემთხვევაში სხვა-

დასხვა პროდუქციაზე მსოფლიო მასშტაბით ფასები მკვეთრად გაიზრდება. ხმელთაშუა ზღვაში იმყოფება სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო გემები, მათ შორის, აშშ-ის ორი ავიამზიდი, მაგრამ ჰუსიტების წინააღმდეგ იარაღის გამოყენებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ.

დასავლური პრესის, მათ შორის, აშშ-ის მედიის ინფორმაციით, უკრაინის არმია მძიმე მდგომარეობაშია და ბრძოლის ველზე დიდ დანაკარგებს განიცდის. მძიმე სიტუაციაშია ქვეყნის ეკონომიკაც. მიუხედავად რთული ვითარებისა, ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი არგენტინაში ახალარჩეული კოლეგის ხავეირ მილეის ინაუგურაციაზე დასასრულებლად გაემგზავრა. მიმომხილველების შეფასებით, იგი ჯო ბაიდენთან შეხვედრას გეგმავდა. თუმცა აშშ-ის პრეზიდენტი არგენტინაში არ ჩავიდა. სამაგიეროდ, ზელენსკი ათი წუთით შეხვდა და ესაუბრა უნგრეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ ორბანს. ექსპერტების ვარაუდით, ზელენსკი შეეცადა, დაეყოლიებინა ორბანი ევროკავშირში უკრაინის გაწევრიანებასა და ფინანსურ მხარდაჭერაზე.

საშობაო არდადეგებზე გასვლამდე ზელენსკი შეეცადა, თავად დაერწმუნებინა კონგრესმენები უკრაინისთვის ფინანსური დახმარების აუცილებლობაში და აშშ-ისკენ აიღო გეზი. მისი თვითმფრინავი საწვავის მარაგის შესავსებად ბრაზილიაში დაემ-

კა. ზელენსკიმ შეხვედრა სთხოვა ქვეყნის პრეზიდენტს, მაგრამ ლულა და სილვამ კატეგორიული უარი უთხრა. ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ კი განაცხადა: „ჩვენც გვყავდა მასეთი პოლიტიკოსი, რომელსაც ხუან გუაიდო ერქვა“.

შარშანდელი ვიზიტისგან განსხვავებით, წელს ზელენსკის აშშ-ში საკმაოდ ცივად შეხვდნენ. თეთრი სახლის სათადარიგო შესასვლელთან მას ადმინისტრაციის რიგითი ჩინოვნიკი დახვდა. კონგრესმენები ზელენსკის დახურულ კარს მიღმა ესაუბრნენ, თუმცა საიდუმლო საკითხები არ განუხილავთ. ჯო ბაიდენმა ზელენსკისთან შეხვედრაზე განაცხადა: „...არ მინდა, უკრაინამ ჩვენი იმედი დაკარგოს. დავეხმარებით, რითაც შეგვიძლია“. ჟურნალისტის კითხვაზე, თქვენ გინდათ უკრაინის გამარჯვება და გჯერათ ამის, ბაიდენმა მრავალმნიშვნელოვნად გაიცინა, ზელენსკიმ კი მხრები აიჩქრა. აშშ-ის პრეზიდენტმა ზელენსკი ხელცარიელი არ გაუშვა და 200 მილიონი დოლარი გამოუყო. ექსპერტების შეფასებით, თანხა საომარი მოქმედებების საწარმოებლად მიხერხდება.

რეალობის აღქმა დაკარგა თუ სიცრუით ცდილობდა ზელენსკი ამერიკელ ჟურნალისტებთან იმიჯის შენარჩუნებას, ძნელი სათქმელია. თუმცა ტრაბახობდა შავ ზღვაში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განადგურებით. ამერიკულმა პრესამ ზელენსკის სტუმრობა „ჩავარდნილ ვიზიტად“

შეაფასა. გამოცემა „ვამინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: „ზელენსკის ვარსკვლავი ჩაქრა“, „დეილი მეილის“ ინფორმაციით, „...ზელენსკიმ საკუთარი მოსახლეობა რუსეთის სამიზნედ აქცია“. „ნიუ-იორკ პოსტის“ მტკიცებით, „...უკრაინაში ომმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია“. უკრაინის მოკავშირე ქვეყნებში უკვე აქტიურად განიხილავენ ზელენსკის ჩანაცვლებას. როგორ და ვინ შეცვლის მას, ამის შესახებ ჯერ არაფერს ამბობენ.

ამერიკელი ექსპერტები მსჯელობენ, რამდენ ხანს გაუძლებს უკრაინა რუსეთის ზეწოლას მათი ქვეყნის დახმარების გარეშე. ანალიტიკოსები შემფოთებით აცხადებენ, რომ თუ დროულად არ დაიწყო უკრაინის ხელისუფლებამ რუსეთთან მოლაპარაკებები, სამუდამოდ დაკარგავენ ოდესის, ხარკოვის და სხვა დიდ ოლქებს. სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრმა რობერტ ფიცომ, რომელსაც ნატო-ს გენმდივანი, იენს სტოლტენბერგი ახლდა, პირდაპირ მოუწოდა უკრაინას, რუსეთთან მოლაპარაკებები გამართოს ცეცხლის შეწყვეტაზე. უკრაინის პრესის ინფორმაციით, ზელენსკიმ ქალებსაც მოუწოდა, სამხედრო კომისარიატებში აღრიცხვებზე დადგნენ. ამასთან, ჯავშანი მოუხსნა პოლიციელებს და პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებს. აშშ-ის სურვილია, უკრაინა ევროკავშირის წევრი გახდეს, რათა ქვეყნის დაფინანსება ევროპელებს დაეკისროთ.

საშობაო შეგებულებაში გასვლამდე რუსუბლიკელმა კონგრესმენებმა გამოიტანეს დადგენილება — საკანონმდებლო ორგანომ ჯო ბაიდენის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყების შესახებ და საქმიანობა მომავალ წლამდე შეაჩერეს. პანტერ ბაიდენმა სცადა მამის დაცვა და ჟურნალისტებს გაუნცხადა, რომ ჯო ბაიდენი მის საქმიან პარტნიორებისგან არავის შეხვედრია. დიდი ალბათობით, სენატი მხარს არ დაუჭერს პრეზიდენტის იმპიჩმენტს, მაგრამ მეორე ვადით არჩევნებში მონაწილეობისთვის პრობლემას შეუქმნის კონგრესის გადაწყვეტილება.

ახალი მთავრობა ჰყავს პოლონეთს — სეიმმა უნდობლობა გამოუცხადა უკვე ყოფილ პრემიერ-მინისტრს მატეუშ მორავეცკის. მის ადგილზე დონალდ ტუსკი აირჩიეს, რომელიც 2007-2014 წლებში უკვე იკავებდა აღნიშნულ თანამდებობას. ინაუგურაციაზე პრეზიდენტი ანჯეი დუდა მართალია, იღიებოდა, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია ტუსკის ფაქტობრივად მტრული დამოკიდებულება მისი პარტიისადმი. დავდელივით მოვლენების განვითარებას, რომლებიც, უდავოდ, საინტერესო იქნება.

ჩვენ ვისურვოთ, რომ კარს მომდგარი ახალი 2024 წელი მსოფლიოსთვის მშვიდობის მომტანი ყოფილიყოს!

გია ბურღული



საქართველოს ვერ გააქრობ!



(დასასრული, დასაწყისი „სბ“ N38.)

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული უნდა იყოს ძვ.წ. აღ-ის V საუკუნის ოქროს ყელსაბამი კუს კულონებით (როდესაც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მუზეუმიდან 69 ექსპონატის გატანა-გაქრობაზე ხმაური ატყდა, ამას დაერთო ყელსაბამის შემადგენელი 12 ბურთულის დაკარგვაზე ხმაურიც. მალევე ითქვა, რომ ყველა ბურთული ადგილზე იყო, უბრალოდ, დაიხვედნენ და რესტავრაცია სჭირდებოდა – რაც აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ არის, თუმცა რა ბურთულები დაბრუნდა, კაცმა არ იცის...). გარდა იმისა, რომ ყელსაბამი უძვირფასესია მრავალმხრივ, აღსანიშნავია იმითაც, რომ ასტრონომიულ ინფორმაციას ატარებს და მზის ამოსვლის წერტილის გადაზრილ კუთხეს უკავშირდება. ექსპონატი მზის ქართული კალენდრის ელემენტების რაოდენობის შემცველია და ნივთიერად ადასტურებს მზის ქართული კალენდრის არსებობას, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს იმ დროისთვის ქართული ანაბანის ფართოდ არსებობა-გამოყენებას, სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ამ სამკაულის გაკეთება. ყელსაბამი შეიცავს 31 კუს კულონს. მათგან 30 პატარა კუა, ერთი – დიდი, რაც მზის კალენდარში ყოველთვიური დღეების რაოდენობას ემთხვევა.

ძველად დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები, უძველესი ანბანური დამწერლობის ძეგლები კი ქურუმთა შექმნილი არ ჩანს, ის არის გამარტივებული, გაუბრალოებული საყოველთაო გამოყენებისთვის. კიდევ უფრო დიდი საიდუმლოა ქართული ანბანური დამწერლობა. განსხვავებით ქანაანური დამწერლობათაგან, სადაც სემური ასო-ნიშნის მწკრივი იწყება ხარით, ხარის გამოსახულებით – „ჰა“, ქართული ანბანი იწყება მთვარის ღმერთით – „ან“ (შუმერული ცის ღმერთის სახელი) – გამოსახავს მიმცხრალ მთვარეს და მისი რიცხვობრივი მაჩვენებელი არის 1. ქართულ ანბანში არის როგორც ბაბილონური, ისე ეგვიპტური დროის ათვლა, მაგალითად, 15 ბაბილონური წუთი იგივე ეგვიპტური 60 წუთია.

„ხუცური“ ნიშნავს – „ქურუმების“, „მრგვალი“ კი მოძრაობას აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და პირიქით. მზე ამოდის აღმოსავლეთიდან და დასავლეთისკენ მოძ-

რობს, მთვარე კი პირიქით, ახალი მთვარე დასავლეთიდან ამოდის და აღმოსავლეთისკენ მოძრაობს. 15 დღეში ახალი მთვარე გამრგვალდება, გაივსება და სავესე მთვარეს მივიღებთ მე-15-ე დღეს. მთვარის კალენდრის მეორე ნახევარი კი სავესე მთვარიდან იწყება და ძველებმა 15 დღე ამრიგად, ქართულ ანბანს აქვს მზისა და მთვარის კალენდარი დროის ზუსტი აღრიცხვით. ქართულ ანბანში გადმოცემულია როგორც მთვარის 30-დღიანი თვე, ისე 12-თვიანი მზის ზოდიანური მოძრაობა.

ქართული ანბანი კოსმოსის ამსახველია, რომელიც სულ მცირე 4 000 წლის წინათ დაფარეს ქართველმა ქურუმებმა, ხოლო ასაკით, სულ მცირე, 16 000 წლისაა...

მაღავენ და აყალებენ რეალურ ისტორიას, თარიღებს, ქრისტეს წარმომავლობას, მოკლედ რომ მოეხაზოთ – მსოფლიო ცივილიზაციის ასაკს, მაგრამ შეუძლებელია, ბოლომდე დაიძალოს რამე...

„ალი“, ანუ „ალ“ – სანსკრიტზე „აბსოლუტური გონია“; ძველიუფურ და ქრისტიანულ მითოლოგიაში, ევამდე ღმერთმა ადამს შეუქმნა ცეცხლოვანი ქალი, რომელსაც უწოდა „ალ“, მაგრამ ხორციელ ადამს არ შეუვარდა ცეცხლოვანი ქმნილება „ალ“-ი. შემდეგ შეუქმნა ევა და ამ დროიდან არის მტრულად განწყობილი „ალ“-ი ქალების მიმართ – მსოფლიოს სხვადასხვა ხალხების ფოლკლორში მეორდება ეს ხაზი. („ალ“-ი არანაირად არ არის კავშირში რაიმე მუსლიმანურთან, რადგან, ელემენტარულია, ისლამი ჩვენი წელთაღრიცხვის მხოლოდ VII საუკუნეში შეიქმნა, „ალ“-ი კი უძველესი წარმოშობის სიტყვაა).

მოვიშველით ჩვენი ნაქები უნიკალური ქართული ანბანი და ვნახოთ, რა არის სიტყვა „ალ“, რომელიც ორი ასო-ბეკისგან შედგება „ანი“-სა და „ლას“-ისგან და რატომ მიიჩნევა, რომ გრაფიკის მცველები ქართველები ვართ.

„ალ“-ი – „ან“ პირველ ადგილზე დგას, ერთზე, ხოლო „ლას“-მე-12-ზე, ანუ მოიცავს სივრცეს 1-იდან 12-ის ჩათვლით. მე-13 არის „მან“ – „მან“-ამდე არის საკრალური რიცხვი, ანუ 12-ის ჩათვლით და ეს მიჯნა მკვეთრად არის გამოჯნული პირდაპირ თქმაშივე – „მანამდე“...

გავეოთ შედგენილი სიტყვა „გრაალ“-ი. „ალ“-ზე უკვე ვთქვით, დაგვრჩა „გრ“. „გან“- ქართული ანბანის მე-3-ე ასოა და მისი რიგითი

ნომერია 3, ხოლო „რ-აეს“ რიგითი ნომერია 19, მთლიანობაში 319.

„ქართული ჰემატრიის“ ავტორი ბატონი ალექო ცინცაძე: „ჰემატრიის შემქმნელი იბერიისთვის რიცხვებში სამია უმთავრესი: 47, 128 და 319.

ახლა გამოვთვალოთ სიტყვა „იბერია“-ს ჰემატრიული რიცხვები: ი (10), ბ (2), ე (5), რ (19, 100), ი (10), ა (1). რიგით სათვალავში – 10+2+5+19+10+1=47.

რიცხვ-მნიშვნელობაში – 10+2+5+100+10+1=128

ფარული რიცხვით – (1+...10)+(1+2)+(1+...5)+(1+...19)+(1+...10)+1=55+3+15+190+55+1=319.

სამივე უმნიშვნელოვანესი რიცხვი ქმნის კიდევ მათემატიკურ სტრუქტურას, საყრდენს, რომელმაც ცალსახად განსაზღვრა სიტყვა „იბერია“-ს ბგერითი ასოითი შემადგენლობა.

ჰემატრიის შემქმნელმა იბერიამ მიიღო თავისი ცოდნა და სიბრძნე პირველ რიგში საკუთარი დასახელების შექმნაში გამოიყენა...“

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერტი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ სწორედ კავკასიაშია შექმნილი გრაალით სალოცავი სახლები. თუ მივიღებთ უდავო ჰემატრიულ ფაქტს ჰემატრიულად, 319 იბერიის კოდა, „გრაალი“ იმეფრება, როგორც „იბერიის აბსოლუტური გონი“, „იბერიის სიწმინდე“...

ახლა ღვთაებრივ-კოსმიური კუთხით გადავხედოთ, რა მოხდა ცოდნის მფლობელ ცივილიზებულ კოლხეთში და რა უნდა მოხდეს. აიუტი ხომ მზის შვილი იყო და იმავე ციდან იყო დაშვებული პირველი სამეფო ხელისუფლება დედამიწაზე...!

აღაშში ღვთაებრივი სული (ანი) შთაიბერა, გაიბერა ცოდნით და გახდა ბერი (ღმერთთან მოლაპარაკე). იმ ადგილს კი, სადაც ცოდნით იბერა, „იბერია“ ეწოდა. ღვთაებრივი გადაწყვეტილებით, ბერებს (აღამიანებს) ამ ცოდნის დანაწევრება და სხვათა ერებში, ენებში და ტომებში გატანა დაევალით, ოღონდ, საიდუმლო კოდი – ცოდნის გასაღები (ლაზარე), ბერებს არასოდეს გაუციათ. ყველას, ვისაც ეს ცოდნა უნაწილდება, ბერების ძეგს (ბერ-ძენი) უწოდებენ.

მიუღი გვაგალებული ისტორიიდან, როგორც ახლა ირკვევა, მეფე აიუტმა იცოდა რა ეს საიდუმლოება, წესისამებრ, ამ ცოდნის ასლი „არგო“ წილად შემდგომში ბერძნებს და ეს დაევალია მეფეებს შეასრულებინა – გაატანა. მეფემ წინასწარ იცოდა, რომ მამასთან უკვე მოდიოდნენ ამ ცოდნის მისაღებად და მისა ბრწყინვალედ შეასრულა. რაც შეეხება მეფეს მიერ შვილების დაზოცვას,

რაც უკვე აღვნიშნეთ, დადასტურებული და შეკვეთილი მითი-სიტყვა – დამწერლობის გასაღები, ცოდნის ამოკითხვის წესი მოკლა-შეცვალა და მისი შემძლე-გამგრძელებელი არ დატოვა.

ეს არის ცოდნა ღვთაებრივ ჰემატრიულზე (ოქროს საწმისი – გრაალის თასი), რომელიც ამ ერს დარჩა სამარადისოდ, რაც ამ ერის რჩეულობას ნიშნავს. იგი იცავს ამ ერს განსაცდელის ჟამს და შეჰყავს გადარჩენის კიდობანში დრომდე, რათა შემდგომ განაგრძოს იგი და ამ ერს „ჟამის ერი“ ჰქვია – მრავალჟამიერი!

ამდენად, ალბათ, მართებულია მავანთა მოთხოვნა, რომ საქართველოს დაუბრუნდეს მისი ნამდვილი სახელი „იბერია“, რადგან უნდა გაბრწყინდეს იბერია და არა საქართველო!

„იბერეულად იყო სიტყვა“- ვამბობთ ხშირად, მაგრამ ვიცით კი, რატომ ვამბობთ ასე?

ღმერთი სიტყვაა!

უფალი ამბობს: „ღმერთო, მე შენ გადიდე, ახლა შენ მადიდებ იმ დიდებით, რა დიდებითაც შენთან ვიყავი ქვეყნიერების შექმნამდე...“ უფალი ქვეყნიერების შექმნამდე სიტყვის

წავლილ ნაწილში წამყვანმა გენეტიკოსებმა აღმოაჩინეს 22 სიტყვიერი ფრაგმენტი არამეულ ენაზე, რომელიც, მათი აზრით, ამტკიცებს ღმერთის არსებობას და მის როლს დედამიწაზე. „ღმერთის გზავნილი“ აღმოაჩინეს მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა შეაჩინეს უცნაური მათემატიკური მოდელები, რომელიც გენომის გარკვეულ ნაწილში ჩნდებოდა. „ჩვენ ვიცოდით, რომ ეს მოდელები ბუნებაში არ გვხვდება. გადავწყვიტეთ, ჩავგვტარებინა ჯვარედინი ანალიზი გზავნილების სხვადასხვა ენის მონაცემთა ბაზის მიხედვით და ჩვენ გავოგნდით, როცა აღმოჩნდა, რომ ეს მოდელები არამეულ ენას შეესაბამება. როგორც ჩანს, უფალმა დაგვიტოვა დაფარული გზავნილი, რომელიც ჩვენ შევძელით აღმოგვეჩინა ასეულობით წლის შემდეგ, როდესაც მივაღწიეთ ტექნოლოგიების უმაღლეს განვითარებას. ამ აღმოჩენამდე მე შეუვალი ათეისტი ვიყავი, ახლა ჰემატრიტი ქრისტიანი ვარ. ეს ის მტკიცებულებაა, რომელიც მე მჭირდებოდა, რათა გამეფანტა ჩემი ეჭვები. მეცნიერული გავლენის დამატება რელიგიას, გამოიწვევს რევოლუციურ ცვლილებებს მსოფ-



ლიდებით იყო ღმერთთან, მაშასადამე, რომელიც ენა ღვთის საზოგადო-სამეტიყველო ენა არის!

სიტყვას აქვს ძალა, მით უმეტეს, თუ კოდირებულია – თუ არ იქნება სიტყვა „იბერია“, არარსებულ ვერასოდეს გაბრწყინდება!

ჰარვარდის უნივერსიტეტის მკვლევარებმა სამეცნიერო სამყაროს აუწყეს, რომ მათ აღმოაჩინეს „ღმერთის გზავნილი“, რომელიც ჩაწერილია ადამიანის გენომში, ანუ ორგანიზმის უჯრედში შენახული მემკვიდრული მასალის ერთობლიობაში.

ღმ-ის ყველაზე ნაკლებად შეს-

ლიოში“, – წერს ჩარლზ უოტსონი, პროექტის წამყვანი მეცნიერი (როგორ იუწყებოდნენ, გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნდებოდა ჟურნალ NATURE-ში).

არამეულ, ანუ ქრისტეს ენაზე დღესაც გალობს მამა სერაფიმე საქართველოში, ქართლში, სოფელ ქანდაში და დღემდე ამ ენაზე საუბრობენ ამ სოფლის მცხოვრებლები...

და განა გასაკვირია მსოფლიო მასშტაბის „მავანთა“ მცდელობა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე მოკლედ ვთქვით, დაიძალოს, ამოიძიროს?..

მაკა ჯაყელი

P.S. – ვინაიდან წინამდებარე წერილობითი საუბრები მხოლოდ მოკლე საგაზეთო ვერსიაა საქართველოს გაყალბებულ-მიჩქმალული ისტორიის შეძლებისდაგვარად ამეტყველებისა, შესაბამისად, მხოლოდ საინფორმაციო-შემეცნებით ხასიათს ატარებდა, რომელიც ზღვაში წვეთადაც კი ვერ ჩაითვლება.

თხრობისას ზოგჯერ მითითებული იყო წყაროც და ავტორიც, მაგრამ ყველა იმ ლიტერატურის ჩამოთვლა, რაც აღნიშნულ თემას ეხება ან მასთან ერთად განსახილველია, ვთქვათ, ჰეროდოტედიან დღემდე, მოქმედი მკვლევარების (არქეოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, მოგზაურები, გეოგრაფები, ზღვაოსნები და ა.შ.) ჩათვლით, წარმოუდგენელი და არაფრისმომცემი შრომაა როგორც რიგითი ადამიანისთვის, ასევე, გაზეთის შეზღუდული სივრცისთვის. ამდენად, მომგვიტყვეთ თუ ეს შრომა არ გავწიეთ...

მაკა ჯაყელი

შეუთავსებალთა შეუთავსება

ვულოცავ საქართველოს, მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ლარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტს და ამ ყველაფრის შემოქმედ განუმეორებელ პიროვნებას, ბატონ ზიძინა ივანიშვილს ეპროკაჰპირის ნაპროზის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას. დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს ნაბიჯი სრულიად დედამინისთვის!



წერილი მთავრდება: მატრიცა

წინარე, მეექვსე პუბლიკაციაში ეწერდით: „მათ (ამერიკელებს) დღეს ყველაზე მეტი მილიარდერი, მულტიმილიონერი და 62 მილიონი მილიონერი ჰყავთ, ეს მაჩვენებელი დანარჩენი მსოფლიო მილიონების 42 პროცენტია, ანუ გამოდის, რომ მთელ პლანეტაზე დაახლოებით 87 მილიონი მილიონერი გვყავს“.

აქ ელემენტარული არითმეტიკული შეცდომა გაეკარა ავტორს: თუკი აშშ-ში 42 პროცენტია, 62 მილიონი მილიონერი, დანარჩენ მსოფლიოში 58 პროცენტი ყოფილა — 87 მილიონი მილიონერი. ასე რომ მთელს მსოფლიოში ამ კატეგორიის 149 მილიონი სუბიექტი გვყოლია. ეს კი 7 მილიარდ 800 მილიონი მოსახლეობის მხოლოდ 0,19 პროცენტია.

მაგრამ მოვეშვათ ციფრებით მანიპულირებას და გავარკვიოთ — რას წარმოადგენდა მითითური ატლანტიდა, ან რას შეეძლო, იგი დაეღუპა უნაშთოდ, როცა დანარჩენი მსოფლიოსგან რაღაც მატერიალური ფასეულობანი ასე თუ ისე გადარჩენილია, საბედნიეროდ.

ატლანტიდელებზე პირველ ინფორმაციას პლატონი გვაწვდის. „ტიმეოსში“ ეს მასალა მწირია, ხოლო „კრიტიკოსთან“ გვიწვდის ვერცელი. საკითხზე მსჯელობენ სოკრატე და ტიმეოსი, რომელიც პითაგორეს მიმდევარია. ატლანტიდა თავისი ტერიტორიით მცირე აზიას და ლიბიას აღემატებოდა. კრიტიკოსი პაპისგან, სოლონის მონათხრობზე დაყრდნობით გვიყვება, რომ ატლანტიდის ცენტრი მდებარეობდა ზღვის ნაპირიდან 50 სტადიონით (5 სტადიონი — 1000 მეტრზე ნაკლები) მოშორებულ ბორცვზე, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა სამმაგი წყლის არხი და ორი თხრილი პოსეიდონისგან.

მოვიშველიებ გასაოცარ მაგალითს შავი ზღვისპირეთის — ანაკლია-ერგეთის მიმდებარე ტერიტორიების არქეოლოგიური გათხრებიდან, ავტორი გახლავთ ლაშა ჯიქია: „პერტიებს“, „მამულიებს“, „ცვანეს“, „თიკორს“, „მაქაცარიას“, „მუხურჯინჯის“, „დიდი ლეტას“, „კუკავების“, „ჭურის“ დიხაგუძეები წარმოადგენენ ხელოვნურ მიწაყრილებს სხვადასხვა სიღრმისა და რადიუსისა, და მათ, როგორც წესი, სხვადასხვა სიფართის არხები შემოუყვებათ სათითაოდ.

გაუგებარია ჭაობნარში რისთვის სჭირდებოდა დიხაგუძეების

აღმართავს ხელოვნური არხები თავის დასაცავად, ისედაც თავდაცითი გაუგებარი ჭაობნარების მქონებელს?! იქნებ, ამ მიკრომოდელში ეგვიპტური პირამიდებისა და ატლანტიდური ცივილიზაციის არხების ანარეკლი ილანდება?! ჩვენ ატლანტიდის ცივილიზაციაზე მსჯელობისას შტაინერის მისტიფიცირებული ბრტყელ-ბრტყელი საუბრები არაფერში გვარგია. ატლანტიდა დედამიწისეული საზოგადოება გახლდათ და რომ ჰქონოდა რაიმე გამორჩეული საომარი იარაღი, ათენს წაშში მოუღებდა ბოლოს. რასაც კორტეხი ჩაიდენს 400 ესპანელი 12 მილიონი ინდიელის დასათრეუნად, რადგანაც ცეცხლსასროლი იარაღით ებრძვის შუბებით შეიარაღებულებს. ჩვენეული ჰიპოთეზით, ეს დიხაგუძეები კოლხური პირამიდებია ჭაობნარში და არხების შემოვლების ხელწერით იმეორებს მითითური ატლანტიდის აღნაგობას.

პლატონის დიალოგებში ხაზგასმულია ატლანტიდელების კეთილსინდისიერება, მათი მიწათმოქმედება და გამართული სახელმწიფო მმართველობა, რომელიც 9000 წლის წინათ ტოლს არ უდებდა ათენს. მაგრამ როცა ერთმანეთს მამასისხლად დაუპირისპირდებიან, ორივე მხარე რაღაც კატასტროფისგან ხელის ერთი მოსმით განადგურდება.

პერუში არსებობს ეტიმოლოგიურად ატლანტიდის მინამგვანი ქალაქ-სახელმწიფო — ოლანტაიტამბო, რომლის საძირკველი კარგად დამუშავებული მეგალითებისგანაა შეკრული, კედლები კი აგურწყობისაა. ჩვენ აქ დედამიწის სხვა არქიტექტურებისგან განსხვავებულს ვერაფერს ვხედავთ, პირიქით, ამ ტაძრებში თვალნათლივ შეინიშნება შუმერული ზიკურატების სტილი. ეს ქალაქი ზღვის დონიდან 2700 მეტრის სიმაღლეზეა აზიდული, ხოლო ტონიანი მეგალითები მასობრივადაა გადატვირთული სტიქიური მოვლენისაგან, საგარაუდოდ, წყლისგან, როცა ახლომახლო ხელისგულისოდენა ტბაც კი არ მოიპოვება.

მარტივად რომ ვთქვათ, ატლანტიდის ცივილიზაციამ მატრიცა ვერ შექმნა.

მატრიცა შექმნა მონღოლეთმა;

მატრიცა შექმნა ფაშისტურმა გერმანიამ, მაგრამ ორივემ — ანტიკაცობრიული და დროთა მსვლე-

ლობაში მათ მიერვე აღზვევებული მოლოქის მსხვერპლი გახდნენ.

მატრიცა შექმნა ქრისტიანულმა მოძღვრებამ — ჰუმანური, თუმცა სამი ათასის დამდეგს ოდესღაც მონოლითური, სინდევით დაშლილა და მისი ზეგავლენა დღითი დღე ნელდება ფართო საზოგადოებაში.

აწი კი დროა, ახალი მატრიცის შექმნაზე ვისაუბროთ, რომელსაც ნაწილი და მთელი გამოჰყავს თანამედროვეობის არენაზე.

მატრიცის შექმნას შეეცადა ფიზიკის დოქტორი თამაზ ბუთხუზი თავის დიდებულ წიგნში „გაახელ თვალებს, იქნება გვიან“, მაგრამ მისი ძალისხმევა რამდენიმე ათეული შეხვედრის შემდეგ ჩაქრა.

ჩვენი კონცეფციით ნაწილს წარმოადგენენ ნაციონალური სახელმწიფოები, ხოლო მთელს — მთლიანი დედამიწა. მაგრამ აქ უმთავრესი ოლიგაქიული ერთობის, ვთქვათ, სიტყვისთვის ლიგის შექმნის მოტივაციაა.

ჩვენ ნაციონალური სახელმწიფოების მითხონები პარტიკულარული თვალსაზრისით ხელს არ გვაძლევს ამ მოცემულობაში. ნაციონალურ სახელმწიფოებს უნდათ, ჩინეთიდან მომავალი ნაეთობსადენის გატარების იმედით ისულდგმულონ; ეს უნდა იყოს

მათი აღმშენებლობის, მათი ეკონომიკური წინსვლისა და ნაციონალური რეკვიზიტების ხელშეუხებლობის გარანტია.

პირიქით, კაცობრიობის მომავალი ვერ დაამძიმებს ენერგომატარებლებს მსგავსი ილუზორული მოთხონებით: ცივილიზაციის მერმისი 100 დოლარად წამოსულ ნავთობს ჩინეთიდან ჰამბურგს 100 დოლარად ჩაბარებს და არა 120-ად, გზაზე ჩასაფრებული მებაჟეობის ფსიქოლოგიით.

მთავარი ამოსავალი ამ მატრიცაში პლანეტა დედამიწის ჯანსაღად ყოფნაა, რადგანაც დათბობის პრობლემებმა და იმპერიალიზმის მიერ შეთავაზებულმა სერვისმა: მასშტაბურმა და ლოკალურმა ომებმა, პაერის დაბინძურებებმა გამოწვეული ქვეყნების და პერბიციდებმა, მთლიანობაში პლანეტის მიწას — ჰუმუსს, წყალსა და პაერს, ცოცხალი ორგანიზმისთვის არსებობის ნორმალური გარემო მიუშალეს. ამას გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ქადაგებს მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, რომის პაპი ფრანცისკე, მისი უწმიდესობა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მაგრამ შედეგი ნულთანია.

ამისთვის არის მოწადინებული გაერო — გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მაგრამ ესეც ფარსია — მილიონობით დილარის მუქთამჭამელობა.

ამ პრობლემებს უნდა აწესრიგებდეს წესით ნატო — ჩრდილოეთ-ატლანტიკური სამხედრო ალიანსი, მაგრამ ხსნა და საშველი არც მისგან ჩანს.

და ამისთანა ვითარებაში, გვინდა თუ არა, უნებლიეთ მივდივართ აქლემისა და ნემსის ყუნწის ფსიქოლოგიამდე, რომელში გაძვრომა უფრო შეუძლია მდიდარს, ვიდრე თავისი საგანძურის საზოგადოებისთვის დარიგება. მაგრამ თუკი უფრო ჩაუღრმავდებით ამ მოცემულობას, არსებობს მდიდარისთვის პირობა, როცა ის იძულებულია, გავიდეს ამ ნემსის ყუნწში ერთი რამის გამო, და ეს ერთი რამე მისი პიროვნული მეობა და სიმდიდრეა. როგორც ზღაპარშია, ლადარში დედის მიერ ჩაყრილ ფულს უსულგულოდ ეპყრობა შეილი, მაგრამ საკუთარს ფრჩხილებით რომ გამობღიტნის ნაკვერჩხლებიდან, იმგვარად მდიდარი არაფერს დაიმურებს იმისთვის, რომ მისი უზრუნველი ცხოვრება ყველა ხერხით და საშუალებით გადაარჩინოს. ამისი გარანტი კი ჯერაც გამოუცდელი პლანეტა მარსი და კიდევ რომელიღაცა



მითიური ნიბირუ კი არაა ირმის ნახტომის გალაქტიკაში, არამედ — საკუთრივ დედამიწა, მისი გრძედები და განედები, მისი ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები, მისი ეკვატორი და ოკეანეთი. აი, ამ მოცემულობების ჯანსაღად ყოფნაზეა დამოკიდებული მდიდარი კაცის ფინანსური წყაროები. ოლიგარქიული ლიგა თუ ხელში აიღებს ამ პრობლემებისთვის მობილიზებულ მილიონებს, ეს კოლოსალური თანხა დროის უმოკლეს მონაკვეთში დედამიწას მართლაც რომ ბიბლიურ სამოთხედ გადააქცევს.

მართალია, მდიდარი კაცი აქამდე ნაკლებად უწევდა ანგარიშს თუ რატომ ჩავარდნილა დედამიწა ამისთანა სიტუაციაში. მისი გამდიდრების დრაკონულ მადას ეწირებოდა (და ეწირება დღესაც) ათასობით უმანკოება, ამბულბუნი გრძობები და იდეების ქარაფები, ტყე, ველი, მდინარეები, ეთნოკური ჯგუფები, ტომები, სახელმწიფოები... და აი, ამ სისხლის ნიაღვრებისგან მოგროვილა კოლოსალური ფინანსური მორჭმულობა, შესაძლოა, დედამიწის კიდევ ერთი გრადუსით დათბობის შემთხვევაში, ნიავექარს მიეცეს აწ და მარადის, არაფერი დარჩება მისგან ცისქვეშეთში, არც ოქროს ზოდები, აღარც ბროლის სასახლეები, აღარც ხასხასა საცურაო აუზები და სემირამიდის ბაღები.

და აი, იბადება მდიდარი კაცის ნემსის ყუნწში გამეფობის აუცილებლობა. ახლა იგი მზად არის, თავისი ფინანსების მესამედი, ნახევარი, ორი მესამედიც კი მოისროლოს ამ კატატროფის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ რომ არ იცის, როგორ, რანაირად უშველოს პლანეტას?

ათას მისტიკურს მიედ-მოედება. ცის გადაფარვის პროექტებს ებლაუჭება სარკვებით მზის გამოსხივების შესანელებლად, რომელიც კოსმოსურ ზომადლებზე განლაგდება. ჩვენ კი გვისწავლია — ძაღლის ნაკბენს ძაღლის ბალანი მოარჩენსო. არიან მომავალზე მზრუნველი თავები, ვინმე გური ოტობაიაა ეს თუ აკადემი-

კოსი რამაზ გახოკიძე და პროექტი „მძინარე გოლიათის“ ხალხი სოლომონ პავლიაშვილისა და მისი სათაყვანებელი საგარეჯოელების სახით, სადაც ამ პროექტის საქართველოს მასშტაბით განხორციელდება განგვიზრახავს, ცხადია, ოლიგარქიული ლიგის ფინანსების შემოხილებით: ხოლო, რაც შეეხება უფრო მასშტაბურ ძალისხმევას, ინებეთ, ბატონო: მილიონობით ჰექტარი უდაბნოეთის მიწად გარდაქმნა სრულიად შესაძლებელია ბიოაქტივატორი „ბიორაგით“ გაჯერებული ღრმაფესვიანი ხე-მცენარის — ფსტას — *Fidtacia vera*-ს მეშვეობით. „ბიორაგით“ დამუშავების შემთხვევაში მისი ფესვები 70-80 მეტრს აღწევს. ამისთანა ფესვებს კი თავისუფლად შეუძლია ხრიოკი უდაბოს წიაღიდან წყლის ამოქაჩვა და მიკროკლიმატის — ოაზისების შექმნა.

რაც მეტი ოლიგარქი ჩაერთვება ამ საქმეში, მით მეტად გამოჯანსაღდება დედამიწა, მით მეტად დასუფთავდება მისი ჰაერი და მომრავლდება დოვლათიც.

საქართველოს მაგალითს შევხედოთ, ინტერნეტ-საიტის მონაცემებით დღეს ჩვენში 50-ზე მეტი მულტიმილიონერია.

ჰა, ბურთი და მოედანი, ძვირფასებო! დადეთ საქართველოს ეკოლოგიური პრობლემებისთვის თქვენი სიმდიდრის 10 პროცენტი, დოლარში კი არა, ლარებში და საქართველოს ეკოსისტემა ნაშეველებია, 3000 მეწვერსაშიში ზონა გარდაქმნილია უმოკლეს დროში.

ყველა დიდი საქმე პირველი ნაბიჯიდან იწყება. გადავდგათ ქართველებმა ასეთი ნაბიჯი, და დარწმუნებული ვარ, ამ ნაბიჯს სხვა ქვეყნების შეძლებული ხალხებიც აჰყვებიან. გაოზრებული ეროვნული ეკოსისტემები ყველგან გაიმართება წელში.

რაც შეეხება მილიონობით ჰექტარი უდაბნოების ათვისებას, 2300 მილიარდერისთვის დაგვითმია იგი. სხვანაირად კაცობრიობის მომავალს წინსვლა და წარმატება არ უწერია მეგობრებო!

ჩიჩილაკი

ზოგს რომ ჰგონია, საახალწლო საჩუქარი — ჩიჩილაკი, მართლ უმეტეს ნაძვის ხის იმიტაციაა, ცდება. ჩიჩილაკი, როგორც წესი, ორი ხისგან მზადდება, ხეჭრელისგან, რომელიც ბასრი დანით ადვილად ითლება და თხილისგან. ამ უკანასკნელის ტოტს შუაგვეცხლის ალზე გაათბუნებენ და შემდეგ მისდგებიან პირბასრი დანით. ჩიჩილაკის დამზადება თხილისგან ყველაზე მართლზომიერია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ხეჭრელისგან მისი დამზადება იწვევს ამ ისედაც ძვირფასი ხის, დიდგულას მასობრივ განადგურებას, ხოლო თხილის ნარგავები გვიან შემოდგომაზე ისედაც საჭიროებენ გასხვლას. მეურნე კაცმა კარგად იცის, რომ თხილის ხშირძირიანი ბოლქვიდან მხოლოდ ოთხი ღერი უნდა დატოვოს, დანარჩენი გამოისხლას, ხან ექვსი, ხანაც ათი. ოთხრე თავისთავში გულისხმობს ამ გამოხშირვის თავისებურებას, ჯერ ეს ტერმინი თხილნარსაც ნიშნავს მეგრულში, და კიდევ — ოთხი არისო, ოთხი დაუნარჩუნეო, გვეუნებია.

ქართველმა კაცმა ჩინებულად იცოდა ბუნების წონასწორობა, იგი საახალწლოდ ნაძვს არაფრით წაართმევდა სიცოცხლეს. შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი მთელ კაცობრიობას მოუწოდებს ეკოლოგიური წონასწორობისკენ, მაგრამ როცა არ იკმარა ძეგლის თავზე სახარების კითხვამ, ანათემას გადასცა ხის მჭრელი ნებისმიერი ადამიანი.



ამ დროს თხილის ნარგავების მძიმე გასხვლა აუცილებელი პროცედურაა. თანაც ჩიჩილაკის გამოტანა ნაძვის ხის, თუ ძვირადღირებული სინთეტიკურის სანაცვლოდ, ცხოვრების პრაქმატული მოთხოვნაა. თუმცა არანაკლებია ჩიჩილაკის ეზოტერული სიღრმეებიც. ჩიჩილაკს თავში ჯვარი აქვს დაკოსებული და სადგამიც ჯვრისებური გააჩნია. ვიეთნი მას მრგვალ, სამკუთხა სადგამზე რომ აყენებენ, ტრადიციისგან გადახვევაა საქმის გაიოლების ხარჯზე. ამ დროს ჩიჩი-

ლაკის ზედა და ქვედა ჯვარი, საბოლოო ჯამში გულისხმობს ოთხბოლიანი ჯვრის დატრიალებას, რომლის შედეგად, ვიზუალურად ვიღებთ ასტრონომიულ რვაბოლიანი ბორჯღალს, რიგორც ეს ესპანურ ფილმებში გვიხილავს კოსმების თავზე მამხალების ტრიალით. ქართული ბორჯღალი შვიდბოლიანია და ის არ შეესაბამება ასტრონომიულს, იგი წმინდა სისხლის ეროვნულია, სამისა და ოთხის, სამოთხის ეკვივალენტური.

ჩიჩილაკს უფრო შორეული ძირები გააჩნია, კერძოდ, შუამდინარულ ცივილიზაციაში, სადაც სიცოცხლის ხეზეა საუბარი. ჩიჩილაკს ცხადია, კავშირი აქვს ცხოვრების და უკვდავების ხესთან ერთდროულად.

თვითონ ხის საიდუმლოება ეტიმოლოგიურად ქართულ გვარშიცაა კოდირებული: აბაშიმეში, ვაჟიშვილია განსხეულებული, ხარჩილახეში — ქალი. აქ ძე, მამრის იდენტურია, ხოლო ხე — ასულის ტოლფარდი. მეგრული მისტიციზმი უფრო შორს მიდის, რადგან ხე შობასაც გულისხმობს და წარმომავლობასაც, რასაც შუმერული პალეოგრაფია დადმა დაშვებული ტოლგვერდა სამკუთხედით გამოსახავს, ეს სამკუთხედი სიბრტყეს შეიძენს კოლხურ კირბეში და წერილსვეტებად აღიმართება გზათა და ხმელთა საჩვენებელ სიდიდედ. ხოლო მასზე წარწერილი იყო ოქროს და ვერცხლის მიღება ქიმიის მეშვეობით (ქიმიურსაგან, ქმნადობისგან იღებს სათავეს აკადემიკოს რამაზ გახოკიძის მიხედვით). და რადგანაც ყველა ცივილიზაცია, ატლანტიდიდან მოყოლებული, დღევანდლით დამთავრებული, დედის პრიორიტეტით სულდგმულობდა, ჩვენ დავადგინეთ ამ ცივილიზაციათა მკვებაე უმთავრესი ენერგია — იბერიკონია, უკვდავების მიღება მრავალხმიანი სიმღერებითა და ციბრუტიანი ცეკვებით.

(გაზრკმლუბა იმნუბა, დასაწყისი იხ. „ს.ბ.“ N 34-39



როგორ შევხვდეთ დრაკონის წელიწადს



2024 წელი, ჩინური პირობების მიხედვით, მწვანე ხის დრაკონის წელია. დრაკონი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ძლიერი ზოდიაქოს ნიშანია, რომელიც იბღლიან თილისმად მიიჩნევა. ზოდიაქოს თორმეტ ნიშანს შორის დრაკონი ერთადერთი მისტიკური წარმომადგენელია. ამიტომაც მის გარშემო დიდი აზრთა სხვადასხვაობაა — არ წყდება კამათი მისი ხასიათის, ზნე-ჩვეულებებისა და გემოვნების შესახებ. ევროპელები მას ხშირად ბოროტებისა და აგრესიის მატარებლად მოიაზრებენ, ხოლო აღმოსავლეთში პირიქით — პატივს სცემენ. ზოგ ქვეყანაში დრაკონს ღირსებისა და სამართლიანობის ეტალონად თვლიან. ყველაზე კარგად ამ სიმბოლოს ამომავალი მზის ქვეყანაში, ჩინეთსა და ტიბეტში იცნობენ. დრაკონი ჩინურ ასტროლოგიაში ყველაზე სამართლიან, ასევე აქტიურ, ძლიერ და მიზანდასახულ სიმბო-

ლოდ ითვლება. ამიტომ მას ფერადონება, სიკაშკაშე, ფუფუნება განსაკუთრებით მოსწონს.

როგორც ჩინელი დრაკონოლოგები ირწმუნებიან, დრაკონის ოთხი სახეობა არსებობს: პირველი — ტალღური — ცის ბინადარი ღმერთების მსახური, მას ეტლით დაასეირნებს; მეორე — ფუცანგური — მიწისქვეშეთის ბინადარი — ძვირფასი ქვებისა და ლითონების მცველი; მესამე — დილუნი — მდინარისა და ზღვის ბინადარი და მათი მმართველი; მეოთხე — ინლუნი — ღვთაებრივი დრაკონი წვიმის, ქარის, ჭექა-ქუხილის მმართველი. ჩინეთში ის ერის სიმბოლოა. დრაკონი ოდითგანვე იმპერატორის ძალაუფლებას განასახიერებდა. მისი გამოსახულების ტარება მდებარეობის კანონით იკრძალებოდა და სიკვდილით ისჯებოდა. იაპონელებისთვის დრაკონი ღირსების სიმბოლოა.

რა ფარის სამოსში შევხვდეთ დრაკონის წელს

რა ფერი უნდა სჭარბობდეს სახალწლო ჩაცმულობაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გინდათ ამ წელიწადში მიიღოთ: ვისაც გავლენის ან ძალაუფლების მიღება სურს, მწვანე ფერის სამოსი უნდა ჩაიცვას და ნარინჯისფერი აქსესუარები შეურიოს. ის, ვინც გულისწივრის პოვნაზე ოცნებობს, მწვანე და წითელ სამოსში უნდა გამოეწვიოს. ვისაც ეს ფერები არ მოსწონს, შეუძლია არჩევანი იისფერ სამოსზე შეაჩეროს. სამსახურეობრივ წარმატებასა და კარიერაზე ორიენტირებულმა შავისა და ყვითლის კომბინაცია უნდა შეარჩიოს. სასურველია ნარინჯისფერი აქსესუარების დამატებაც. ვისთვისაც სულიერი სიმშვიდე და შინაგანი ჰარმონიაა მთავარი, შეუძლია დრაკონის ცისფერ, ლურჯ ან მწვანე ფერის სამოსით დახვდეს. ხოლო ვისთვისაც ფულია პრიორიტეტული, ჩაიცვით შავი უხვად გაწყობილი ოქროსფერით, გაიკეთეთ რაც შეიძლება მეტი ბრჭყვიალა სამკაული. რა ფერიც უნდა აირჩიოთ, სასურველია, ჩაცმულობა ექსტრაგავანტური იყოს. იგივე ეხება მაკიაჟსა და ვარცხნილობას. აქვე ერთი რჩევა: მოერიდეთ ბიჟუტერიას! დრაკონის ძალიან უყვარს ძვირფასი ქვები და ლითონები, განსაკუთრებით, ბრილიანტი. არ ეცადოთ მის მოტყუებას შუშების ბრჭყვიალით, ასე შეიძლება მისი რისხვა გამოიწვიოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ სწორედ დრაკონია ყველა ამ სიმდიდრის დარაჯი და საიუველირო საქმეში შესანიშნავად ერკვევა. ზოგადად, წლის ფერებია ოქროსფერი, ვერცხლისფერი და თეთრ-ნაცრისფერი ჩრდილები.

აგდეთ და წარმოთქვით: „გატან ყველა ჩემს ავადმყოფობას!“ ეს წელი განკურნების წელი იქნება. სასურველია დაივიწყოთ სიზარმაცე, მაგნე ჩვევები, გაწყვიტოთ არასასურველი კონტაქტები და ახალი ცხოვრება დაიწყოთ. წელს ადამიანები შეძლებენ დაუძლეველი სენიც კი დაძლიონ. სურვილი ფურცელზე დაწერეთ და მეორე დღეს გამდინარე წყალს გაატანეთ.

როგორ მოვრიოთ სახლი სახალწლოდ

სახლი რაც შეიძლება პომპეზურად უნდა მორთოთ. დრაკონს სიმდიდრე და მრავალფეროვნება უყვარს. სხვადასხვა კუთხეში მისი გამოსახულებები დადგით და გვერდით ხის ნაკეთობა მიუდგით. სახალწლო ინტერიერის აუცი-

ხშირად წითელი, მწვანე ან თეთრია, მაგრამ შეიძლება ყვითელი ან შავიც იყოს. არსებობს კიდევ განსაკუთრებული, წვერებიანი ურჩხული, რომელსაც ფრთები არ აქვს, სამაგიეროდ, ზურგზე 81 ფხა ჰქონია და მოშავო-მონაცრისფერია. აირჩიეთ თქვენი გემოვნებით.

როგორ მოვრიოთ ნაძვის ხე

სახალწლო დეკორაციებში უნდა სჭარბობდეს ბრჭყვიალა, კაშკაშა, მკვეთრი ფერები, იგრძნობოდეს მეტი ფუფუნება. მოკლედ, ყველაფერი მეფურად უნდა გამოიყურებოდეს. ნაძვის ხის დეკორაციების, სათამაშოების შერჩევას, უპირატესობა მიანიჭეთ წითელს, ოქროსფერს, ვერცხლისფერს, მწვანეს, რუხ

რია. მას მწვანე და ოქროსფერი დეკორაცია მდიდრულ იერს მისცემს.

სახალწლო სუფრა

სახალწლო სუფრაზე უნდა სჭარბობდეს ოქროსფერი, ნარინჯისფერი, შავი, თეთრი, ცოტ-ცოტა მწვანე, ცისფერი, წითელი და ვერცხლისფერი. სუფრაზე დააწყეთ ოქროსფერი დანა-ჩანგალი, კოვზები, ბროლის ლარნაკები. ვერცხლისფერი მრავალმხრივი და ელევანტური არჩევანია ინტერიერისთვის. ვერცხლისფერი აქცენტები — ტექსტილი, ჭურჭელი თუ სხვა აქსესუარები, უნიკალურ გარემოს ქმნის. სუფრაზე დაანთეთ ზუთი სხვადასხვა ფერის — ლურჯი, ყვითელი, ოქროსფერი, მწვანე და წითელი სანთლები.

ბა. დრაკონს უყვარს თევზეული. თქვენ წარმოიდგინეთ, გოგრა. ის უხვად იღებს სანელებლებს — მიხაკს, დარიშხანს, ზაფრანას, განსაკუთრებით, რეპანი ჰყვარება. ეს ყველაფერი ძლიერი სტიმულატორებია, ამიტომ გასაგები ხდება, საიდან იღებს დრაკონი ძალას. ენერჯის კიდევ ერთი წყაროა წყალი. მან კარგად იცის სუფთა წყლის ფასი. სხვადასხვა ქვეყნის ეპოსში დასტურდება — დრაკონი ზის წყაროსთან და საგულდაგულოდ იცავს მას ადამიანებისგან. თუ გვინდა, დრაკონს პატივი ვცეთ, სუფრაზე ტრადიციული სახალწლო კერძი საცივი უნდა გვექნოდეს. სასურველია, სუფრა რეპანოფორი ეპოსისა და პამიდვრის სალათით დავამშვენოთ. ასევე, წვნიანი-თაც — თევზის ან მიდიების სუპით. სუფრა დაამშვენეთ ღორის, საქონლის ხორცი, ყველით, ხორცის რულეტით, სანელებლებით შეზავებული და ბრინჯიანი კერძებით, დესერტები სასურველია იყოს შოკოლადითა და მარწყვით. დრაკონს თხილეული და ჩირებიც უყვარს. სახალწლო სუფრაზე ნუ დადებთ ქათამს, რადგან ასტროლოგების მოსაზრებით, ეს სიღარიბის სიმბოლოა და შესაძლოა, 2024 წელს ფინანსური პრობლემები შეგექმნათ. ასევე, სასურველი არ არის სოკო — როგორც ამბობენ, ის წუხილისა და დარდის სიმბოლოა. ხაზვი კი დრაკონისთვის სიმწარესთან, ცრემლთან და წყენასთან ასოცირდება. დრაკონს ასევე არ უყვარს თეთრი პოლი. მას უფრო ცხარე კერძები ურჩევნია. ამ წლის შეხვედრისას სპორტთან სასმელებს ერიდეთ, დრაკონს მათი ეშინია. თურმე დრაკონის განგმირვა ადვილია, თუ მას ჭაჭით დაათრობთ. ამიტომ სჯობს, სუფრაზე წითელი ღვინო და ტკბილი კოქტეილები დაახვედროთ.



ლებელი ატრიბუტი ხისგან დამზადებული ნაკეთობებია. შეგიძლიათ გააკეთოთ თილისმა, რომელიც დრაკონის კეთილგანწყობის მოპოვებაში დაგეხმარებათ. ხის ნივთი დადგათ ნაძვის ხის ქვეშ, დატოვოთ დილაამდღე, შემდეგ ავიდოთ და მთელი წლის განმავლობაში თან ვატაროთ. 10 თებერვალს, როცა აღმოსავლური კალენდრის მიხედვით დრაკონი მობრძანდება, ხისგან დამზადებული ნივთი ფანჯარასთან, მთვარის შუქზე დადგით, დატოვეთ გათენებამდე. თილისმაც მზად არის.

თეთრსა და იისფერს. კარგი იქნება, თუ ორ-სამ ფერს ერთმანეთს შეუხამებთ. მაგალითად, წითელი და ოქროსფერი მუქ მწვანე ნაძვისხეზე. ოქროსფერი ბურთები და ლენტები მწვანე ტოტების ფონზე საოცარ ჰარმონიას ქმნის; ფორთოხლისფერი და ოქროსფერი. სასურველია, ნაძვის ხე ნამდვილი მანდარინებით ან ციტრუსის გამხმარი ნაჭრებით მორთოთ. იისფერი და ვერცხლისფერი. იისფერი ყოველთვის მონარქებისა და არისტოკრატების რჩეულ ფერად ითვლებოდა. ასე რომ, არც დრაკონი იქნება ამ ფერის მიმართ გულგრილი. ასევე კარგი კომბინაციაა მწვანე და ოქროსფერი. ეს ვარიანტი მათ გამოადგებათ, ვისაც სახლში ხელოვნური ნაძვისხე აქვს, რომელსაც თოვლით დაფარული ტოტები აქვს, ან მთლიანად თეთ-

როგორც ასტროლოგები ამბობენ, სანთლები — ცეცხლი, წლის მთავარ სიმბოლოს განსაკუთრებით მოსწონს. ამიტომ სუფრაზე შეგიძლიათ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური სანთლები და სხვა განათებები განათავსოთ. მაგიდა გააფორმეთ ასევე ნაძვის ხის მცირე ტოტებით, დრაკონის ფორმის გამოსახულებებით.

სახალწლო სუფრა

დრაკონის გასტრონომიული მიდრეკილებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება რთულია, რადგან არავის არასდროს უნახავს დრაკონის ტრაპეზობა. თუმცა, როგორც ირკვევა, დრაკონი თურმე გურამნი ყოფილა და მისი დღევანდელი საიდუმლო (800-1000 წელი) სწორედ აქ იმალება. მნიშვნელოვანია სწორი კვე-

როგორი იქნება დრაკონის წელი პოლიტიკურად

პოლიტიკურად საკმაოდ დაძაბული, მრავალფეროვანი და საინტერესო წელი დგება. ისეთ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ, რაც ყველას გააოცებს. წელს მოულოდნელად ცხოვრების შეცვლის შანსი მოგვეცემა. ძლიერი, მეტრძოლი, ენერჯიული, აქტიური, თავმოყვარე და ღირსებით სავსე დრაკონი, ყველას მფარველობს, ვინც ამ თვისებებით გამოირჩევა.

მოამზადა
თამარ შველიძემ

რას გვპირდება დრაკონის წელიწადი?

2024 წელი ხის მწვანე დრაკონის წელია, რომელიც 2024 წლის 10 თებერვალს დაიწყო და 2025 წლის 28 იანვრამდე გაგრძელდება.

მართალია, არეული გვაქვს სამყარო, ზოგისთვის როდის დგება ახალი წელი და ზოგისთვის — როდის, მაგრამ ვინაიდან საზოგადოებაში უფრო მეტი პოპულარობიდან გამოდინარე ის ნიშან-ცხოველებია გავრცელებული, რაც აღმოსავლური კალენდრით არის შემონახული-გაგრძელებული, მაშასადამე, 2024 წლის ასტროლოგიური პროგნოზიც აღნიშნული დროის მონაკვეთს მოიცავს.

ჩინურ ფილოსოფიაში, დრაკონი განსაკუთრებულად თვალსაჩინო ფიგურაა. ის განასახიერებს ძალას, სიბრძნეს, კეთილშობილებას და შერწყმულია ზრდის, განვითარებისა და პარამონის ენერჯითთან. მწვანე ფერი დრაკონის მეომარ ბუნებას აღმშ-

ნებლობასთან აწონასწორებს. ეს ფერი აფრევებისა და სულიერი განვითარებისკენ სწრაფვას მოასწავებს.

თუ ასტროლოგიის მიმდევარი ხართ და გვერათ პოროსკოპების, დამდეგი ერთი წლის განმავლობაში წარმატებისა და იღბლის მოსაზიდად აუცილებლად უნდა გამოიყენოთ მწვანე ფერი როგორც ტანსაცმელში, ისე ინტერიერში.

ვინაიდან ხე, თავის მხრივ, სტაბილურობის, სიმტკიცისა და მუდმივობის სიმბოლოა, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2024 წელი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას შეუწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი რჩეულები ჰყავს — ლომი და მორიელი, ის არავის დათრგუნავს, ყველასთვის გაიმეტებს სიკეთეს, ვინც მის პრინციპებს მიჰყვება და სიმტკიცის გამოჩენა და საკუთარი თავის წარმოჩენა უყვარს!



პირისი (1948, 1960, 1972, 1984, 1996, 2008, 2020)

ვირთხის წელში დაბადებულებს მთელი წელი სიხარულის განცდა ექნებათ. გააქტიურდება შემოქმედებითი აქტივობა. წელი ხელსაყრელია ბავშვებთან ურთიერთობისთვის, ან მათი დაბადებისთვის. მთავარია, აკეთოთ ის, რაც მოგწონთ, რაც გიყვართ. ეს შეიძლება იყოს კრეატიულობა, სპორტი, სიმღერები, ცეკვები, ხელნაკეთობები. 2024 წელს ენერჯია საკმაოდ მაღალია და იღბალიც გწყალობთ.

უფლება გაქვთ და უნდა იმუშავოთ, იმოვოთ, დააგროვოთ, შეიძლება ზედმეტიც არ დახარჯოთ, რომ რაღაც რესურსი დაიგროვოთ. თქვენ უნდა შეიქმნათ ფინანსური უსაფრთხოება, დააგროვოთ ენერჯია, იზრუნოთ თქვენს სხეულზე, ჯანმრთელობაზე, იყოთ გულუხვი, საყვარელ ადამიანები გაანებივროთ საჩუქრებით.

საკუთარ შინაგან სამყაროში გარკვევა. სასარგებლო იქნება ფსიქოლოგთან მუშაობა და ქვეცნობიერის ყველა ღრმა ფენის გამოკვლევა. გველის წელში დაბადებულებს ემუქრებათ მარტოობის შეგრძნება. მთავარია, ემოციებს არ აჰყვებთ და გონიერულად გადადგათ თითოეული ნაბიჯი.

ხარი (1949, 1961, 1973, 1985, 1997, 2009, 2021)

წლის მთავარი თემა ოჯახი და სახლია. აუცილებელია თქვენი ბუდის აღჭურვა, რათა საიმედო ნავსაყუდელი შეიქმნათ. მომავალ წელს შეიძლება, საკუთარი უძრავი ქონების მფლობელი გახდეთ. მნიშვნელოვანია, რომ მეტი ყურადღება მიაქციოთ ოჯახში უფროს თაობას და შეისწავლოთ ოჯახის ისტორია.

დრაკონი (1952, 1964, 1976, 1988, 2000, 2012)

დრაკონის წელში დაბადებულებს სიმწიფის ტესტის ჩაბარება მოუწევთ. უნდა იყოთ პასუხის-

სხენი (1954, 1966, 1978, 1990, 2002, 2014)

მომავალ წელს გარკვეული ტვირთისგან გათავისუფლებით. გეგმები და იმედები შეიძლება განხორციელდეს, გამოჩნდნენ ახალი



მეგობრები თქვენს ქმედებებში. ერთი მხრივ, თქვენი ავტორიტეტი და გავლენის სფერო მნიშვნელოვნად გაძლიერდება და გაიზრდება. უფრო გავლენიანი გახდებით. თქვენ წინაშე ახალი პორიზონტები გაიხსნება, მაგრამ, მეორე მხრივ, უფრო მეტად პასუხისმგებელი უნდა იყოთ იმ ყველაფერზე, რასაც ფიქრობთ, ამბობთ და აკეთებთ. დაიცავით წესები და კანონი.

მეგობრები და თანამოაზრეები, ამიტომ მნიშვნელოვანია გუნდში ყოფნა, ერთობლივი პროექტები და სოციალური აქტივობები. წლის საკვანძო თემა მეგობრობა, ხალხი, მეგობრები, გათავისუფლება. შეიძლება იყოს მკვეთრი ცვლილებები გარეგნობასა და იმიჯში, მონაცვლეობა განვითარებაში, ახალი მიმართულებების არჩევა.

კუჩხვი (1950, 1962, 1974, 1986, 1998, 2010, 2022)

ვეფხვები დრაკონის წელს განიცდიან დიდ სოციალურ აქტივობას: ადამიანებთან ურთიერთობა, მოგზაურობა, ახლის შესწავლა. მომავალი წელი შესანიშნავი დროა შემოქმედებით იდეების განხორციელებისთვის. მთავარია, იყოთ აქტიური, კომუნუკაბელური და მზად ახალი ცოდნის მისაღებად.

გველი (1953, 1965, 1977, 1989, 2001, 2013)

გველებს დრაკონის წელში სურთ ყველასგან დამალვა და

თხა (1955, 1967, 1979, 1991, 2003, 2015)

ეს არის კარიერული ზრდის წელი. პასუხისმგებლობაც, ბუნებრივია, გაიზრდება. ნიშნულის

კურღლი (1951, 1963, 1975, 1987, 1999, 2011, 2023)

წლის მთავარი თემა ფინანსები, რესურსები, მატერიალური კეთილდღეობაა. მაშასადამე,



დაწვეა შეუძლებელია. თქვენ უნდა დაიკაოთ უმაღლესი პოზიციები, არ შეგეშინდეთ ზრდისა და გაფართოების. ლიდერის თვისებები უნდა გამოიშუშავოთ.

ნეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე, გაიძლიერეთ სხეული.

მაიმუნი (1956, 1968, 1980, 1992, 2004, 2016)

მომავალ წელს მაიმუნები დაიწყებენ მსოფლმხედველობის გაფართოებას: სწავლა, მოგზაურობა, სულიერ მასწავლებელთან შეხვედრა. ზოგმა შეიძლება მონიდომოს გახდეს პედაგოგი ან ექსპერტი რომელიმე დარგში.

პირი

თქვენთვის მრავალი შესაძლებლობა გაიხსნება. უნდა იყოთ მზად, მიიღოთ გამოწვევები, რომლებიც გზაზე შეგხვდებათ. გაჩნდება შესაძლებლობები - ერთ-ერთი მათგანი დასაბამს მისცემს პერსპექტიულ და სასარგებლო ნაცნობობას. ასეთი შემთხვევითობა რომ მოხდეს, მოგიწევთ, ენლოთ თქვენს ინტუიციას და ასევე, შესაძლოა, უწყინარ, მაგრამ მაინც - ავანტიურაში ჩაებათ. ასევე ასტროლოგები გირჩევენ, განვითარდეთ თქვენ საქმეში, რომელიც მოგწონთ. არ მოერიდოთ ექსპერიმენტებს ამ კუთხით - ოღონდ, ექსპერიმენტები წინახედულებით უნდა გამოირჩეოდეს. ეს შემოსავლების გაზრდის ალბათობას მოცემთ.

ამაღლი (1957, 1969, 1981, 1993, 2005, 2017)

წელი საკმაოდ სარისკოა. წელი მღელვარების მომტანი იქნება. თქვენ მოგინდებათ საკუთარი თავის გამოცდა ექსტრემალურ გარემოებებში: სპორტი, ავტომობილის მართვა და ა. შ. მამალს მომავალ წელს შეუძლია კარგი ინვესტიციების გაკეთება.

კური

დრაკონის წელი კუროებისთვის იქნება როგორც წარმატების, ისე გამოწვევების წელი. მოგიწევთ სირთულეებთან და შეცდომებთან შეჯახება. ეს თქვენთვის ერთგვარი გამოცდა გახდება. თუმცა, არ უნდა შეგეშინდეთ - ასეთი გამოწვევები აუცილებელი რესურსების მოხიზვას მოახდენს თქვენში - თითქმის არსაიდან გამოჩნდება სულიერი ძალა და სიმტკიცე, რაც სირთულეების გადალახვაში დაგეხმარებათ. წაგადგებათ, თუ შეცდომებს ფილოსოფიურად შეხედავთ - თითოეული შეცდომა, როგორც ზრდისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. გამოწვევების გარდა, დრაკონის წელი არაერთ ბედნიერ მომენტს, საქმეებში წარმატებულ შედეგს გაჩუქებთ. თქვენი შრომისმოყვარეობა ნაყოფს გამოიღებს.

ქალღი (1958, 1970, 1982, 1994, 2006, 2018)

2024 იქნება საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან კომუნიკაციის წელი. მნიშვნელოვანია, არ დაიხიოთ უკან, იყოთ საკუთარ თავში დარწმუნებული, არ დაიშლით გარემოსგან. ისწავლოთ მოლაპარაკება, კომპრომისზე წასვლა.

ტყუპები

2024 წელს დადებითი ცვლილებები გელოდებათ პირად ცხოვრებაში და ოჯახში. დროის დიდ ნაწილს გრძნობებსა და ემოციებს დაუთმობთ ახლობლებთან მიმართებით. თქვენი გულგახსნილობა ნაყოფს გამოიღებს - გაჩნდებიან ახალი ნაცნობები, საურთიერთობო წრე გაფართოვდება და უფრო საინტერესო გახდება. თუმცა, პოპულარობამ თქვენი ყურადღება არ უნდა მოადუნოს - არ უნდა მიუშვათ ოჯახისა თუ სამსახურის საქმეები, გადაუჭრელი პრობლემები. ნუ გადადებთ საქმეებს - იყავით ორგანიზებული და სისტე-

ლორი (1959, 1971, 1983, 1995, 2007, 2019)

შრომა მოგიწევთ, რომ სასურველი შედეგი მიიღოთ. არ დაივიწყოთ თქვენი საყვარელი ადამიანები, მათ დასჭირდებათ ზრუნვა და მხარდაჭერა. აგრეთვე იზრუ-

